

ნიგნის მსოფლიო საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

23 აპრილი 2021წ. №9 (4008) ზამთრის 90-ე წელი ფასი 1 ლარი



FINITA LA COMMEDIA!

გვინდა არ გვინდა, დავიმახსოვრებთ ამ თარიღს: 2021 წლის 19 აპრილი. ამ დღეს, უფრო ზუსტად, სალამოს დამთავრდა უდიდესი ქართული პოლიტიკური მარაზმი, რომლის მსგავსი არ ახსოვს ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან. ლამის ექვსთვიანი წერებების ომის შემდეგ ოპოზიციამ გადანყვიტა, შევიდეს პარლამენტში.

სახელმწიფოს მმართველი პარტია „ქართული ოცნება“, ოპოზიციის მმართველი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და დანარჩენები „სამკედრო-სასიცოცხლო“ ბრძოლების შემდეგ ფაქტობრივად თამაშგარე მდგომარეობაში იყვნენ, როდესაც ავანსცენაზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი, რომელმაც გამოგზავნა შეთანხმების ოპტიმალური, ყველა მხარისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები დოკუმენტი.

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ათონელის ქუჩაზე, თავის რეზიდენციაში მიიწვია დაპირისპირებული მხარეები და მათ ისე იოლად მოაწერეს ხელი შეთანხმების დოკუმენტს, გვეგონებოდა, მთელი ამ სასტიკი დაპირისპირების განმავლობაში მხოლოდ შარლ მიშელის დოკუმენტის ხელმოწერაზე ფიქრობდნენ.

ეს არ იყო შარლ მიშელის ერთადერთი სიურპრიზი. მეორე დღეს, 20 აპრილს, ის გაუფრთხილებლად ჩამოფრინდა ბრიუსელიდან და პირადად შეხვდა შეთანხმების მონაწილეებს და მთავრობის ხელმძღვანელებს.

შეთანხმება არ შეიცავს ისეთ პუნქტებს, რომელთა შესრულება, არა გვეგონია, რაიმე მისტიკურ ბარიერებთან იყოს დაკავშირებული.

ერთი სიტყვით, მარაზმი დამთავრდა. პოლიტიკური ბრძოლა ქუჩიდან პარლამენტში გადადის.

ბერონტი ყვავაძე

ზარეპოთ ერთგანათს ნიგნები!

ნიგნის მსოფლიო დღე,
ნიგნის ჩუქების დღე, –
ნიგნის მსოფლიო დედაქალაქ თბილისში
დღეს, 23 აპრილს!

23 აპრილი – უილიამ შექსპირის დაბადების დღე და სერვანტესის გარდაცვალების დღე – იუნესკომ აირჩია იმისათვის, რათა მკითხველ მილიონებს ერთად ეზვიმათ ნიგნის საერთაშორისო დღესასწაული.



როგორც ყველა კარგი საქმე, ესეც უბრალოდ დაიწყო. 1926 წელს კატალონიელმა ნიგნის გამყიდველებმა, ესპანეთის მეფე ალფონს XIII-ის მონაწილეობითა და თანადგომით, მოიფიქრეს ამ დღის აღნიშვნა, ერთგანათს დაუკავშირეს დიდი კასტილიელისა და დიდი სტრატეგორდელის სახელები, შვიდი ათეული წლის შემდეგ, 1995 წელს იუნესკომ ტრადიციულ მსოფლიო ფესტივალად გადააქცია ეს ლოკალური ღონისძიება, რომელსაც ოფიციალურად ასე ეწოდება:

ნიგნებისა და საავტორო უფლებათა მსოფლიო დღე.

ამ დღეს ერთგანათს, წესისამებრ, აჩუქებენ ნიგნებსა და ვარდებს.

ამიტომ ვაჩუქოთ ერთგანათს...

ყავა ბათანელი

P.S. სხვათა შორის, სადაც შექსპირსა და სერვანტესს ვიხსენებთ, იქვე გავიხსენოთ, ჩვენი ვალია, დიდი ივანე ჯავახიშვილიც, ისიც ხომ 23 აპრილს არის დაბადებული.



და უფსკრულს დასცქერს პირიუზე

იოსებ ჭუმბურიძე

იმ დროს, როცა რუსული იმპერიის დედაქალაქიდან თბილისში ჩამოსულ არასასურველ ტურისტებს კვერცხებს ესვრიან, რუსთავის თეატრში ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ პრემიერაა. სხვა რომ არაფერი, სპექტაკლის აქტუალურობას (აუცილებლობასაც) მარტო ეს კურიოზული კონტრასტიც გამოკვეთდა.

თითქოს, ეს გაითვალისწინესო, ვოყოლა (ნიკა ჩხაიძე) აქ სამჯერ წარმოთქვამს ყველასათვის ნაცნობ ფრაზას: „დღეს სტუმარია ის ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“...

ვაჟას პოემა სოსო ნემსაძეს, რა თქმა უნდა, ხსენებული ფაქტის გამო არ დაუდგამს.

საერთოდ, გენიალური ნაწარმოების მარადი თანადროულობა რაიმე კონკრეტული დამტკიცებას არ საჭიროებს. მთავარია, როგორ დადგამ.

სოსო ნემსაძე შემთხვევით არაფერს დგამს.

მაშინ დგამს, როცა მოძებნილი და მოფიქრებული აქვს კონცეფცია და უკ-

ვე „დანახული აქვს“ მომავალი სპექტაკლი.

ვაჟას ტექსტი გენიალურია, მაგრამ ეს პოეზია და სათეატრო სანახაობად მისი ქცევა ურთულესი ამოცანაა.

სოსო ნემსაძეს ამგვარი სირთულე არ აშინებს.

სპექტაკლში სამი ალაზაა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ რთულ პერსონაჟში ერთდროულად რამდენიმე ქალი ცხოვრობს – ერთი რომ გადის, სულ სხვანაირი ალაზა შემოდის, შემდეგ კიდევ უფრო განსხვავებული. ეს წარმოდგენის აზრობრივ დატვირთვისაც აძლიერებს და მის შინაგან რიტმსაც.

სოსო ნემსაძის რეჟისორული ხელნერის ერთ-ერთი გამორჩეული თვისება სადადგმო რეკვიზიტის მრავალფუნქციურობაა. ის, რაც კიბეა, შესაძლოა, მთაც იყოს და ვოყოლას საცხოვრისიც. სპექტაკლის ტემპორიტმს ესეც აცხოველებს.

და, მაინც, ეს ყოველივე ვერ გვიშველის, თუ ნამდვილი ვოყოლა და ზვიადური არ გვეყოლება.

რუსთაველთა სპექტაკლში ორივე თავის სიმაღლეზეა.

►► დასასრული 83-12 გვ.

<p>სიცოცხლის მკარნაში</p> <p>კიკაბაძე</p> <p>83.2</p>	<p>სამი მოთხრობა</p> <p>შურაბა თორია</p> <p>83.6-7</p>	<p>ლიბროჟიურული შთანაწარები</p> <p>კახატა ნაცვლიშვილი</p> <p>83.9</p>	<p>ფაქტის ავტორიგობრა- ფია ქართულად</p> <p>ლადო მინაშვილი</p> <p>83.10</p>	<p>ბარათ თავსება წვიმას...</p> <p>კლარა ბელაშვილი</p> <p>83.12</p>
---	--	---	--	--

თუმცა, გვიჩნდება განცდა, რომ არჩილ მაკალათია (ზვიადაური) საკუთარ ძალასა და ენერჯიას ბოლომდე არ ხარჯავს (ამ როლს მეორე შემსრულებელიც ჰყავს – ბექა კულიჯა-ნაშვილი. არ მინახავს და ვერაფერს ვიტყვი). მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს მთხრობელს, რასაც ვაკო კობერიძე თავს წარმატებით ართმევს – ლექსს კი არ გვიკითხავს, მოგვითხრობს, გვესაუბრება, თამაშობს, სპექტაკლის ორგანულ პერსონაჟს განსახიერებს. აშკარაა, რომ ეს რეჟისორის პრინციპული პოზიციაა – ვაჟას განსაცვიფრებელი პოეტური ტექსტი „ჩვეულებრივ საუბარს“ მიუახლოვოს. ამ მხრივ, ნამდვილ ოსტატობას გვიჩვენებს „დროული ქისტის“ განმასახიერებელი მსახიობი – ირაკლი ბექაია. მისი მშვიდი და სიტყვაძუნძი მოლა, იმავდროულად, მტკიცე და შეუვალია. დინჯად დაბიჯებს და მარცვლავს კრილო-სანს, მაგრამ მკაცრად წარმოთქვამს ფრაზას, რომელიც საუკუნეზე მეტია, გვერსხავს და გვზაფრავს: „თემს რაც სწადიან, მას იზამს, თავის თემობის წესითა“...

სამი ალაზა ვახსენეთ: ნათია მელაძე, ანა შარვაძე, სოფიკო ჩხიტუნძიძე. სამივე მსახიობი ზუსტად გრძნობს პერსონაჟს. სამივემ ზუსტად იცის, ვის განსახიერებს. ეს მათი ნიჭიერების გამოვლინებაცაა და იმის მანიშნებელიც თუ რა სწორად მუშაობს რეჟისორი მსახიობებთან. ერთია, მოიფიქრო სამი ალაზა. უფრო მთავარია, ეს გაამართლო. გაამართლა.

სოსო ნემსაძე ნამდვილი პროფესიონალია. მისი სპექტაკლი ისეა შეთხზული, რომ ერთ დეტალსაც ვერ გამოაკლებ. ადვილად ხედები, რატომ არქმევს „დამძიმებულ სულს“ იმ პერსონაჟს (ლამა კანკავა), ალაზას რომ ეცხადება და რატომ აცვია მას ჯაჭვის პერანგი; იმასაც ხედები, რისთვის სჭირდება სიმღერა, ცნობილი ჰანგისთვის მისადაგებული ახალი ტექსტით. აქ ხევისურთ სოფელი ცოცხლდება. ამ სიმღერის ფონზე უნდა შეიტყოს დედამ ზვიადაურის მოკვლის ამბავი და მხიარულება მწუხარებად უნდა შეცვალოს. დედაც (ეკა ქვრივიშვილი) მოთქმას იწყებს. სპექტაკლი დრამატულ სიმძაფრეს იძენს, მაგრამ მსახიობის ტრაგიკულ ინტონაციას რეჟისორი თითქოს განზრახ მოთოკავს: ზომიერება არ უნდა დაირღვეს. ზომიერება სცნოვრადიანში (თვითონ სოსო ნემსაძე), სასცენო მოძრაობაში (შოთა გეგიაძე), კოსტიუმების მხატვრობაში (ბარბარე ასლამაზი), მუსიკალურ პარტიტურაში (გოგიტა მაისურაძე). ასეთია სოსო ნემსაძის რეჟისურა – მკაცრ გემოვნებას და მორჩილებული. აქედან მომდინარეობს მისი სპექტაკლების ესთეტიკური დახვეწილობაც. ხელოვნებაში ხომ გემოვნება გადამწყვეტია. ალბათ, ცხოვრებაშიც.

სოსო ნემსაძის სპექტაკლზე საუბრისას ყურადღების მიღმა ვერავის დატოვებს, რადგან მის ქსოვილში ყოველი „თვალის“ ორგანულია: მუსა – ზურაბ ფიროსმანაშვილი, მაცნე – ზაზა თაგოშვილი, ქისტები: ლეონტი შიოშვილი, ლუკა ცინისთავი, გიორგი ტორილაშვილი, რეზო კოდოშვილი. *** და კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, ურომლისდაც თეატრი არ არსებობს: მაყურებელი! სახე დაარბაზი (რა თქმა უნდა, რეგულაციების დაცვით) სულგანაბრული უსმენს ვაჟა-ფშაველას განსაცვიფრებელ ქართულს და მონუსხული უცქერს სოსო ნემსაძის მიერ შექმნილ სანახაობას. ასეთი მაყურებელი უნდა ინატრო. მაგრამ ეს ნატვრა მაშინ აგისდება, როცა სოსო ნემსაძისთან რეჟისორი გყავს. *** „და უფსკრულს დასცქერს პირიშივე მოღერებულის ყელითა“... მაინც როგორ დამთავრა ფშაველმა გენოსმა?! სოსო ნემსაძეც კარგად ამთავრებს. მაგრამ ეს უნდა ნახოთ...

კონკურსი

საქართველოს მწერალთა კავშირი აცხადებს კონკურსს პოეზიაში პატრიოტულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებზე. კონკურსი ეძღვნება „ძლევაი საკვირველის“ ანუ 1121 წლის 12 აგვისტოს დავით აღმაშენებლის წინამძღოლობით თურქ-სელჩუკთა მრავალათასიან ჯარზე საქართველოს ისტორიაში უდიდესი გამარჯვების 900 წლისთავს, რამაც საფუძველი დაუდო ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს წინსვლას და კულტურის აღორძინებას. საქართველოს გმირული წარსული, მისი მომავალი, დღემდე ცნობილი თუ დროის უკულმართობით დაუფინყარი, დაუდავნი გმირები, ჩვენი ღირსეული თანამედროვენი, ქართველი წმინდანები, ცხე-ტაძართა საგალობელი, აი, საკონკურსო ლექსების ლაიტმოტივი. ღია კონკურსზე უნდა წარმოადგინონ 2 ლექსი, ერთი დღემდე ცნობილი ავტორისთვის სავიზიტო ბარათად ქცეული, ხოლო

მეორე – ახალი ლექსი, ზემოთხსენებულ თემატიკაზე, ასევე მცირე ბიოგრაფია. კონკურსის ბოლო ვადა 2021 წლის 25 მაისია. საუკეთესო მასალები შევა „ძლევაი საკვირველის“ საოუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი პატრიოტული პოეზიის ანთოლოგიაში. გაიცემა გრან-პრი (1000 ლარის ოდენობით) და 5 მომინანქრებული ოქროს მედალი დავით აღმაშენებლის გამოსახულებით. კონკურსის მხარდამჭერები არიან: საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარისა და იმერეთის მწერალთა ორგანიზაციები, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია, მარნეულის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, ქუთაისის მერიის მუნიციპალიტეტები, აჭარის მწერალთა სახლი. მასალები გამოაგზავნეთ writersunionofgeorgia@gmail.com -ზე. დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ბატონ ზაალ ბოტკოველს - 591 300 822, 571 046 421 მანანა გორგიშვილს - 599 38 12 74



სოსო ნემსაძის პერანგი



მართების მქონე სკულპტურული ბიუსტები, პორტრეტები, კომპოზიციები: „ა. ხორავას პორტრეტი“ (1982 წ.), „გედი“ (ვახტანგ ჭაბუკიანის საფლავი) (1982 წ.), „ტერენტი გრანელის პორტრეტი“, „აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის პორტრეტი“ (1978 წ.) და მრავალი სხვა. ბოლო წლებში გატაცებით მუშაობდა დავით ყიფიანის ქანდაკებაზე. თბილისში დგას ჩვენი კულტურის გამოჩენილი მოღვაწეების: კონსტანტინე გამსახურდიას, დავით სარაჯიშვილის, შოთა ყავლაშვილის ძეგლები. თენგიზ კიკალიშვილი შემოქმედებით მუშაობსთან ერთად, წლების განმავლობაში ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. მისი ხელმძღვანელობით დაოსტატდა მხატვართა არა ერთი თაობა. თენგიზ კიკალიშვილის ნამუშევრები დაცულია საქართველოს, გერმანიის, რუსეთის, საბერძნეთის, საფრანგეთის ხელოვნების მუზეუმებში, ფონდებში, ქუთაისის სამხატვრო გალერეასა და კერძო კოლექციებში. ნაიდა ჩვენთან განათლებული, ღირსეული პიროვნება, პატრიოტი, უნიჭიერესი შემოქმედი. მეგობრებს, კოლეგებსა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს გულისტკივილსა და დიდ სევდასთან ერთად დაუტოვა კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც, რაც დრო გავა, კიდევ უფრო მეტად დაფასდება. თენგიზ კიკალიშვილის სახელი დიდხანს დარჩება ოჯახის, ახლობლების, მეგობრების, კოლეგებისა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლების ხსოვნაში. გივი თოიქა, რადიკო თორდია, ბანო ზაქარაია, ჯონი გოგაბერიძე, ზურაბ ზაზაია, თინა კლდიაშვილი, ავთანდილ გვარამია, გურამ ცაიცივაძე, გურამ ნიკოლაძე, ბადრი ქუთათიაძე, ჯეიკან ფაჩუაშვილი, ბადრი სხულუხია, გიორგი ნარათალი, გიორგი შხვაძაბაია, ჯუმაგარ ჯიქია, ლარი ალიმონაძე, თეიმურ ჩალაბაძე

ო, ენაპ ჩვენო!

ვიზიარებთ თქვენს წახილს, ბატონო ლევან!

მორჩილორთულე ქართველის ყურადსაღებად მითქამს: დიას, წახილს და არა მწუხარებას, თორემ, ღმერთმა ნუ მომასწროს, ჩემზე უმრწამსის მწუხარება გავიზიარო!

ჩემთვის მეტად არასიმპათიურად გამოიყურება უფრანკოსტიკაში ლამის დამკვიდრებული სტილისტური მეთოდი, როცა ავტორი გვიყვება ამბავს ვიღაც ნიკიფორზე, ოღონდ თავიდანვე არ გვაცნობს – ვინ არის ეს ნიკიფორე, რა გვარია და ა.შ. ტოვებს ინკოგნიტოდ მანამ, სანამ ოპუსს ბოლომდე არ ჩაგაკითხვებ. აზრი ამ სტილისტური ფანდისა გახლავთ შემდეგი: თუკი თავიდანვე გაშიფრავს, ვინ არის იგი, შესაძლოა, მავანისათვის ის საინტერესო სუბიექტი არ აღმოჩნდეს და გაზეთი გვერდზე გადადოსო.

ასე რომ, „ბატონ ლევანო“, მეც რომ მაქინატორად არ მიჩნით, ყოვლად პოზიტიურ პიროვნებას ვგულისხმობ, ფრიად განსწავლულსა და მშობლიური ქართული ენის ერთგულ ქომავს ბატონ ლევან ლევილიას.

იმედი მაქვს, ამ ჩემს საჯარო წერილს ლევიტიმაცია ექნება მათთვისაც, ვინც ამ ლათინური წარმომავლობის ტერმინში „კანონიერს“ კი გულისხმობს, მაგრამ უცხოურეფ იმიტომ ფუთავს, რომ ინტელექტუალად წარმოჩნდეს (და არანარმოჩინდეს)! ინტელექტუალად, ანუ მარტივად რომ მოეთარგმნოთ, მრავალმხრივ განათლებულ ლიტერატორად თუ ხელოვნად, ირონიული ტონალობაც შეგიძლიათ (ანუ ზომიერად, გამოზომილად) რომ გამოსჭვივის მის ნაწერსა თუ მეტყველებაში.

ბატონო ლევან, რასაკვირველია, დარწმუნებული ვარ, რომ უეჭველად წახილთ ქართული ენის დღევანდელი მდგომარეობის გამო; რომ სამი ათეული წლის განმავლობაში ბარბაროსულად არა, მაგრამ ჩვენივე ნებით შემოიჭრა ქართულში არაერთი ანგლოსაქსური წარმოშობის სიტყვა თუ ტერმინი, რომლებიც ინტერვენტულად იკავებენ შესატყვისი ქართული სიტყვებისა თუ ტერმინების ადგილს („ლაიფში დამეკონტაქტე“, „სალამოს დამიმესიჯე“ და მისთ.).

ჰოდა, ვითომ ეს ინგლისურზე ფეთება და ჭკუის კეტვა არ კმაროდეს, შიგადაშიგ ისეთ ადგილობრივი წარმოებულ ნოვაციებს აწყდება კაცი, თავგზა აებნევა.

მაგალითად, ვინ მუდრეგმა „მოიაზრა“ ეს „გააზიარა“, ეშმაკმა უწყის!

„ეს პოსტი მან ამას წინათ ფეისბუქში გააზიარა“-ო, შავით თერთზე ეწერა „ახალ თაობაში“. (სიტყვამ მოიტანა და ეს გაზეთი რატომღაც ვერ იტანს ვნებითი გვარის ზმნებში პირის ნიშნებს: „სიქმ სიმამრი ცემა“, „მეუღლემ თვითმკვლელობა ცადა“ და ა.შ.).

გააზიარაო, უფროსები რომ იტყოდნენ ჩემს ბავშვობაში ამ ოთხმოციოდე წლის წინათ, გულისხმობდნენ მენველი ძროხის გაზიარებას მორიგებით; ვთქვათ, მავანს გაატანდნენ მენველ ძროხას იმ პირობით, თუ ყოველთვიურად, ვთქვათ, თხუთმეტ ოყა ყველს მოუტანდა პირუტყვის პატრონს.

აქ კი, ჯერ ერთი, „პოსტი“ რა ჯანდაბაა „სტატიის“ ნაცვლად და, რაც მთავარია, სტატიაც რომ იყოს, როგორ გაზიარდეს იგი, რა, ვთქვათ, შენს სტატიას ნაიღებს, გამოიყენებს და შენ რამდენიმე პარაგრაფს დაგიბრუნებს თუ რა?!


ბატონო ლევან, ძალიან მოგვანატრე თქვენი შეუპოვარი, ობიექტური და სუსხიანი პოლემიკური გამოსვლები ტელეეკრანსა თუ პრესის ფურცლებზე.

რატომ?! რა არის ამის მიზეზი?

ახლა კი, ჩემზე ნაკლებ როდი მოგხსენებთ, პირადი წერილი, რაგინდ საჯაროდაც უნდა ქვეყნდებოდეს, უსათუოდ მოითხოვს პასუხს, რომელსაც დიდი ინტერესით დაველოდები(თ).

გულთმისანივით ვიცი, რომ ამ ჩემს ორ კინკლა მაგალითს თქვენ ოთხჯერ მეტს დაამატებთ, რაც წინასწარვე, ავანსად მგვრის პროფესიულ სიამოვნებას.


გულწრფელად თქვენი პატივისმცემელი



ლევან ბრეზაძე

ალაიანი - მასოხლეელი ღარღის

დავით წარედინის „პარაპეტი“



პარაპეტი
დავით წარედინი

სიტყვების მეშვეობით პლასტიკური სახეების ძერწვის ხელოვნება „კლასიკური მუზის“ სფეროს უნდა მივაკუთვნოთ. ვნახოთ ამისი კიდევ ორი შთამბეჭდავი ნიმუში.

თან მომსვლელები! – ასი ერთად! – რა გნისაია! –
გალიმებული მუჭში ვიქცევი წამხდარ ხასიათს,
მინის კარი მაქვს, მაინც ვერსად დავიმალები.

აქ, ჩვენ მიერ ხაზგასმულ ტაეპში, უმაღლესი ოსტატობით არის გადმოცემული როგორც გარეგნული, ასევე შინაგანი პორტრეტი (ავტოპორტრეტი!) მთხრობელისა, რომელიც ცდილობს, ის დისკომფორტი არ შეიმჩნიოს, ბევრი ხალხის მასთან მოულოდნელად გამოჩენამ რომ შეუქმნა.

აი კიდევ: გზისპირას მჯდომი მარტოკაცის პლასტიკა, კომპოზიტი – „ხელედაყრილი“ („მუხლებზე ხელედაყრილი“) – ოსტატურად გამოძერწილი; კაცისა, რომელიც მაცოცხლებელ დარდს შეუპყრია („მაცოცხლებელი დარდი“ – ესეც კლასიკური პოეზიის არსენალიდან მოტანილი, თითქოსდა ურთიერთამომრიცხველი ცნებების დაწყვილებით კონსტრუირებული ერთობ მრავალსიმეტყველი რიტორიკული ფიგურაა, სახელად ოქსიმორონი):

მუხლებზე ხელედაყრილი
ვზივარ გზისპირას მარტო.
– არ ჩაქვ, მწარე სახმილო,
მაცოცხლებელი დარდო...

კლასიკური გამომსახველობითი საშუალებების ოსტატური ფლობის მაგალითებსა და ხშირად მათი ხარისხობრივი დონის ამაღლების წარმატებულ მცდელობებსაც – როგორც ვერსიფიკაციის, ასევე ტროპული მეტყველების სფეროში – ისევე უხვად ვხვდებით ამ ნიგნშიც, როგორც დავით წარედინის მიერვე თარგმნილ ვიონის „ანდერძებსა“ თუ გოეთეს „ფაუსტში“.

ახლა კი „განდაგანაზე“ ვთქვათ რამდენიმე სიტყვა, თან ისიც შევავსოთ, რამდენად „მცირეოდენია“ იგი.

კლასიკის მცოდნე და დამფასებელი პოეტი ჩვენს დროში ძნელად თუ გაუძღვება ცდუნებას, გარდასული დროის ლიტერატურული ტექსტები მათი „გარემიქების“ თუ „გარემიქების“ გზით არ გაითავისოს – ეს მოვლენა მოდერნის შემდგომი ხანის ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. დავით წარედინის ერთი ამგვარი ნამუშევარი „ვარიაციები სიმონ ჩიქოვანის თემაზე: „ცირა“ პირველ კრებულშიც იყო შეტანილი. ახალ ნიგნში ამას დაემატა „უძილობა, ტფილისური მოტივები“, რომელიც საიათნოვასა და გრიგოლ ორბელიანის სტრიქონთა გამოყენებით შესრულებულ მონაკვეთებს შეიცავს („რაც არ დამიგია ზარბაზ-ზარები, / ერთი გამოგია, არ გეყვარები...“, „ამას ვამბობ მე, ბეყანა მკერვალი, / ქალღმერთის სიხარულის მწვერვალი“), რომლებიც „გატიხრილია“ იმავე პოეტების მოტივებს მიმსგავსებული, განსხვავებული საზომით შესრულებული ასეთი „საავტორო“ ტექსტებით:

რისგან და რატომ, შვიდი ღამეა სრული,
ან, იქნებ, მეტიც, არ მეკარება რული.
გურჯის ქვეყანა მძევლა და უპყრია იბლისს.
გზები გაეკეცათ, შირაზს წარემართოთ კვალი,
ბროლი-ფიქალი და ყარაფილი და ლალი...
გულს ეამება აღმოსავლური ხიბლი.

განავარძობთ „განდაგანას“.

აზრთა ნამსხვერვეები, დაუმთავრებელი ფრაზები, იდუმალებაში გარდამავალი ბუნდოვანება ჩინებული მასალა რომ არის სპეციფიკური ესთეტიკური ღირებულების მქონე ტექსტის შესაქმნელად, ამის ნათელსაყოფად დავით წარედინის ლექსი „ძველი წარწერები“ მოვიშველიოთ. მისი ერთი ფრაგმენტი ასე ჟღერს:

მეფემან ბაგრატი მკურობელმან
ყოვლთა ქართველთა... ვესავ...
და აღვაშენე... ნვენითა
ღმერთისა... ტაძარი ესე...
...ითა ჩემითა ალაგო
მან მალაღმან და პრძენმან
ოსტატმან ა... ე... (სახელი
არ იკითხება) მრწემ ვარ...
და დავესვენე წმიდასა
ამას... უფლისა... ცხრაამე...
ცოდვანი ჩემნი... ითა და...
...ისაითა და... ამენ.

ანდა ვნახოთ შესრულების ტექნიკის თვალსაზრისით ამისივე მსგავსი ფრაგმენტი სხვა, მრავალმხრივ საინტერესო, უჩვეულო ფორმისა და შინაარსის ლექსისა ციკლიდან „სულთა თანა“, რომლის სათაურია „ვერისპირული მოზაიკა ალაპის ფონზე – 1977“. ლექსი თავებდა არის დაყოფილი, ეს IV თავია:

ახ, სიყვარული, სიყვარული! – თანა მაქვს, ნახეთ.
ჰმ, ვინ მიბეჭდავს... პროვინცია. შუში აზია.
კი, ცოტას დაველ. ორით ვცოცხლობ, რწმენით და ბახით.
მოვწონთ? მე თვითონ მოვიქსოვე, ხომ ღამაზია?
ვერძნობ, უნდა გითხრა... ჩემი ქმარი... ვერასდროს ქმართან...
სხვა? მხოლოდ ერთხელ... გატაცება... გამტყდარი ხატი...
აქ ნუ, ვაიმე!

შარშან (2020) გამომცემლობა „ინტელექტი“ დავით წარედინის ლექსთა კრებული გამოსცა, რომელმაც, სამწუხაროდ, ავტორს ცოცხალს ვედარ მოუხსნო. იგი ალბათ სრულად მოიცავს გამოჩენილი მთარგმნელისა და ესეისტის ორიგინალურ პოეტურ ტექსტებს – ოცდათხუთმეტ ლექსსა და ერთი პოემის ფრაგმენტებს. 2010 წელს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების გამოცემულ კრებულში („ორიონი“) შესულ ლექსებს აქ ახლებიც დამატებია, „უძილობა, დაფინისის“ რუმბოკის ქვეშ განთავსებული; უსათაურო პოემის ფრაგმენტებიც პირველ გამოცემასთან შედარებით მოცულობით ორჯერ მეტია.

ჩემთვის, დავით წარედინის ახლომცნობისთვის, ძნელი მისახვედრი არ არის მისი ორიგინალური პოეტური ტექსტების მცირერიცხოვნობის მიზეზი: მას არ სურდა, ყოფილიყო პოეტი, მაგრამ არ შეეძლო – არ ყოფილიყო. სამაგიეროდ, ზედმინევნიტ განახორციელა ხარისხზე ორიენტირებული ცნობილი შეგონების მოთხოვნისთვის: „როცა შეგიძლია არ დაწერო – არ დაწერო!“. ამიტომ არის ყოველი მისი ლექსი ზედაშესავით, რომელშიც წვეთი წყალი არ ურევია. რატომ არ უნდოდა, პოეტი ყოფილიყო, შემოიძლია მხოლოდ ვივარაუდო: ალბათ იმიტომ, რომ პარანასზე დიდი სივინროვება, რაც დისკომფორტს ქმნის. ასეთ დროს უფრო სახალისოა, თარგმნო...

დავით წარედინის პოეზიის თავისებურება მისთვის ჩვეული სიზუსტით დაახასიათა კრებულის წინასიტყვაობაში ივანე ამირხანაშვილმა:

„[წარედინთან] აზრი სიტყვაში კი არ იკითხება, არამედ ექოში, რომელსაც ისინი გამოსცემენ. [...] ეს არის პოეტური სიტყვათშეთანხმების ახალი, ორიგინალური წესი, რომელსაც ბოლომდე ვერასოდეს ამოხსნი, მაგრამ მუდამ შენთან იქნება, როგორც უსასრულო დღესასწაული“.

მართლაც!

იდუმალებით გიზიდავს უწინარეს ყოვლისა ეს ლექსები, რაც იმის ნინაპირობაა, რომ, თუ ერთხელ ეზიარე მათ, მერე ვერც დაეხსნები.

თვითონ ავტორისთვის რას წარმოადგენდნენ ისინი, შეიძლება მივხვდეთ პირველივე ლექსის სათაურიდან – „პარაპეტი“, რომელიც მთელი ნიგნის სახელწოდებადაც გაუტანიათ და სწორადაც მოქცეულან. **პარაპეტი** მოაჯირია, რომელიც სიმადლიდან გადმოვარდნის საფრთხისგან გვიცავს.

კარგი, ჩამოვსხედეთ, დავიჯეროთ, შორია ისევ,
ნახვენო პნკარო, სიხარული არაფრის თქმისავე.
ჯამდება ნისლი – ხელი მუხლებზე – ქარი კი ფანტავს.
რას ფანტავს ქარი? ნატისუსალს, ყვავების ყრანტალს.
ისე თვალბუნდად საცნობია, რაც გარე გვერტყა,
კაცი რომ უჯრებს ამოქექავს, უსაგნოდ მჯდარი,
და ძველ ფურცელზე დაბნული დასცქერის ერთხანს
ოდესღაც ძვირფას, დღეს სავესებით უაზრო თარიღს.

კრებულის პირველივე, ადრე გამოუქვეყნებული ლექსის ეს დასაწყისი ავტორის მიერ „არს პოეტოკად“ არ უნდა იყოს ჩაფიქრებული, მაგრამ საამისოდაც გამოდგება.

დავიწყოთ იმით, რომ მიმართვის ობიექტი თავისივე (ავტორისავე) სტრიქონია, რომელიც ასე უცნაურად არის დახასიათებული: „ნახვენო პნკარო, სიხარული არაფრის თქმისავე“ („პნკარი“ აქ მეტონიმურად აშკარად პოეზიას ნიშნავს) – ეს პარადოქსული განსაზღვრება (ლირიკული) პოეზიისა, ვითარცა არაფრის თქმით გამოწვეული სიხარულისა, ერთობ საგულისხმო დეფინიცია გახლავთ, რომელიც, პოეტური ტექსტის უცნაური მომხიბველობის საიდუმლოს თუ ვერ ამოგავხსნევინებს, დავით წარედინის განუმეორებელი ირონია-თვითირონიის ხიბლს ნამდვილად გვაზიარებს.

შემდეგ: დავით წარედინის „არს პოეტოკის“ არსის წვდომისთვის ერთობ საყურადღებოა სინტაგმა „თვალბუნდად საცნობი“ („ისე თვალბუნდად საცნობია, რაც გარე გვერტყა“). „თვალბუნდად საცნობი“ მაშინ ითქმის, როცა საგანს თან ცნობ, თან ვერა, შესაძლოა იმის გამო, რომ საზღვარი საგანსა და გარემოს შორის წაშლილია, „გადღაბნილია“, როგორც აკკარელის შესრულებულ ნახატებზე არის ზოგჯერ. პოეზიაში ეს ტექნიკა ერთობ ეფექტურია მაშინ, როცა დიდი ხნის წინანდელი სურათების აღდგენას ლამობენ. ხატვის ამ მანერის ნიმუშია თუნდაც ამავე ლექსის ეს სტრიქონები:

მთელი მერმისი ხელთუპყრობი ფლობა-არფლობით,
ქარბორბალებით, ოქროვანი თევზის ფარფლებით,
დღეს წარსულში დევს, დალაგებულ-დარჩეულია.
იცანი? – ვერა, ჩემს ანმყოზე არ ჩაუვლია.
მაინც თვალდათვალ შემოიძლია ავეციკო ფრთხილად
ის ქალაქები, ის ღრუბლები, ფთილა და ფთილა.
სახლი დგას ერთი... ლანდხეებით, პნელსაკავებით...
სარკმელი დარჩა მოღებული, ისე წავედით...
დავუბრუნდეთ ისევ პირველ სტროფს, სადაც მთელი მომხიბველობით იჩენს თავს დავით წარედინის, ვითარცა მხატვრის, ოსტატობა პლასტიკური სახე-ხატების ძერწვისას. დააკვირდით, რაოდენ აცოცხლებს მთხრობელის ავტოპორტრეტს ეს ორი ჩართული სიტყვა: „ხელი მუხლებზე“ და იმასაც მიაქციეთ ყურადღება, ვრცელ შედარებაში, რომელიც ამის შემდგომ მოდის, რა მკაფიოდ იხატება უჯრების მქეპავი და მერე ძველ ფურცელს დაშტერებული კაცის პორტრეტი. ერთგან დავით წარედინი თავის წერის მანერას ასე ახასიათებს: „ვარ მიწობილი კლასიკურ მუზას მცირეოდენი განდაგანათი“.

თქვი, გიყვარვარ? გიყვარვარ? მართლა?
არა, ძალიან, სულ ძალიან.
– ცხოვრება გადის.

ორივე ეს არაჩვეულებრივი ლექსი, „ძველი წარწერები“ და „ვერისპირული მოზაიკა ალაპის ფონზე – 1977“, – თავიდან ბოლომდე – „განდაგანას“ უნდა მივათვალოთ, მაგრამ ეს ამონარიდები მათგან ახლა უფრო სხვა რამისთვის მჭირდება, კერძოდ: როგორც ილუსტრაცია გალაკტიონის აი, ამ პარადოქსული განცხადებისა:

სიტყვა ნაწყვეტი გამოგიცხადებს
უფრო მეტს, ვინემ დიდი მსჯელობა:
დღის სინათლე ჰქლავს ღამის სიცხადეს
და სიყვარულს კი მჭერმეტყველობა!

ეს ყოველივე რომ გავიზარე, დავასკვნი:
„ფრაგმენტი პოემისათვის“ იმ სახით, რა სახითაც ის მეორე ნიგნში ქვეყნდება, დაუმთავრებელი ნაწარმოები არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, იგი თავიდანვე ასე – ფრაგმენტებად – არის ჩაფიქრებული ანდა „ნამდვილი“ პოემის წერის პროცესში დაებადა ავტორს ეს იდეა. სხვაგვარად, ნერტილებით მონიშნული გამოტოვებული ადგილების შემცველ სტროფულ გრაფიკას (ნაბეჭდ ტექსტს მე-19 საუკუნის ცენზურის ნამუშევარს რომ ამსგავსებს) რად მიმართავდა?! (პირველ ნიგნში ნერტილებით შევსებული ადგილები არ არის!)

VII
.....
.....
.....

თარიღი: წლები სამოციანი.
ჯერ სიმშვიდეა, ვხრავთ სოციალიზმს.
ეს მერე მოვა ოსან ჩვენ თავს,
ეს მერე იტყვის ჩემი სტრიქონი:
ქართლის ღამეზე სანთელი ღვენთავს,
შამიფარვანულ ტაეპს მიკონის...

დავით წარედინის ამ ერთადერთი, უსათაურო და დაუმთავრებელი პოემის ინტერტექსტიც შემოიძლია დავასახელო, თანაც რამდენიმე, მაგრამ მათგან ყველაზე ცნობილს გავიხსენებ – სააფოს ლექსების ხარვეზებიან ტექსტებს, რომელთა ნაკლულება დიდად არ გვიშლის ხელს, მათი შემოქმედის სიდიადე ვირწმუნოთ; ეგ კი არაა, ეს ნაკლი თითქოს უფრო მიწიდიველსაც ხდის ანტიკური სამყაროს სახელგანთქმული პოეტი ქალის ლექსთა ფრაგმენტებს, ვინაიდან იდუმალების აურით მოსავს მათ.

მოსაზრებას, რომ დაუმთავრებელი პოემის სახით „განდაგანასთან“ გვაქვს საქმე, თანაც არცთუ „მცირეოდენთან“, ისიც განამტკიცებს, რომ ამ ფრაგმენტების დიდი ნაწილი მეტატექსტია, ერთობ სახალისო რიტორიკაა თვით ამ პოემის წერის პროცესის თაობაზე – აი ამ ყაილისა:

V
.....
.....
.....

წინ ნაკოტია, არსად შავეთი,
როგორც იტყვიან, ვარდებს ვიკონი,
არადა, ზღურბლზე ვერ გადავედი,
არ ჩანს პირველი ათი სტრიქონი...
ვზი გაბასრული,
ვზი და არ ვიცი, რით რა ვიღონო,
მიზანს ამიცდა ყველა ნასროლი,
რა გავაკეთო უათსტრიქონოდ?
ვიშვირო ფეხი – დინებას დავეყვე?
რასაც წავედო, წავიღო თავქვე?

დავით წარედინს ჰქონდა ღრმა, შეფარული იუმორი (რაც მის ლექსებშიც აქა-იქ იგრძნობა) – არა ასეთი ტკარცალა და ექსცენტრიკული, როგორსაც „ფრაგმენტებში“ ვხვდებით. ეს ნილაბია, ავტორის ნილაბი, შესაძლოა – პაროდიაც... დათო, მისივე ზემოთ ციტირებული ოქსიმორონი რომ გამოვიყენოთ, მაცოცხლებელი დარდის მატარებელი ადამიანი იყო...

კობა ივალაშვილი

საქართველოს ოკუპირების შემდეგ იოსებმა დაიწყო მუშაობა „ახალ სიტყვათა ლექსიკონზე“, რომლის სიტყვები სხვადასხვაგვარად შედგენილი სიტყვებია, ან დამახინჯებული, ან აბრევიატურებია, ან თავბოლო მოკვეთილები და ა. შ. მაგალითად, „მამაჩი“, „ზაგისი“, „ზაჰესი“, „სოვხოზი“, „ჩეკა“, „ენკავედე“, „ცეკა“, „სახელგამი“, „ლიტფონდი“, „ვობრა“, „ნაცუმცი“, „გულაგი“, „პერედაჩი“, „აგიტპროპაგანდა“, „კაკი“, „ნაკაზი“ და ა. შ.

ენათმეცნიერული თვალსაზრისით, ეს ლექსიკონი თავისი არსით ახალ ხელისუფლებასთან დაკავშირებულ მოქმედებასთან, მის ცოდნასთან, მის საქციელთან და „ახალ“ სიტყვასთან სწორედ თავისი წარმოშობის დროით აიხსნება, ეს მანამდე არარსებული „ახალი სიტყვებია“.

ეს „ახალი“ სიტყვები რუსეთის ბოლშევიკურ იმპერიაში მიმდინარე პროცესების მეშვეობით ყოველდღიურად შემოდოდა ოკუპირებულ ქართულ ცხოვრებასა თუ ენაში. ისინი, ხშირად ძნელად გასაგებნი ან სულაც გაუგებარნი, ქართული ბგერებით ითქმობდა, ქართული ენის წესებით იმართებოდა, ქართული ანბანით იწერებოდა, მაგრამ თავისი წარმოშობით, შინაარსითა თუ ფორმით ქართველებისთვის ხშირად გაუგებარი იყო. არადა, საქართველო ამ დროისათვის რუსეთის ბოლშევიკურ იმპერიაში შედიოდა და პრესასა თუ ოფიციალურ დოკუმენტებში, პოლიტიკურ, სახელოვნო თუ ჟურნალისტურ ტექსტებში შემოდოდა ახალი ნათარგმნი სიტყვები ან სულაც უთარგმნელი ერთობა ასობისა... პოლიტიკური ექსპანსია ენობრივ ექსპანსიაშიც ირჩენდა თავს. ეს პროცესი იმდენად სწრაფად მიმდინარეობდა, რომ ქართული ენა თავისი შინაგანი მექანიზმებით თავს ძნელად იცავდა – ენა ნაგვიანდებოდა, საჭირო იყო პროცესის დაფიქსირება, ამ მღვრიე შენაკადის არსებობის მთლიანობაში გააზრება; ერთ სისტემაში მოქცევა. „ახალ სიტყვათა ლექსიკონი“ სწორედ ამ საქმეს ემსახურებოდა. ამ საქმეს, ოღონდ სხვადასხვა მეცნიერებისათვის საჭირო ტერმინების ქართული შესატყვისობების მოძიებასა და ახსნა-განმარტებას ემსახურებოდა ქართული დარგობრივი ლექსიკონებიც, რაზეც იოსებ იმედაშვილი თავისი ლექსიკონების ერთ-ერთი გამოცემის ბოლოსიტყვაობაში მოუწოდებდა ქართველ მეცნიერებს. აქედან თუ გაგებდავთ, ქართველმა მეცნიერებმა ბრწყინვალედ აღასრულეს ეს დიდი საქმე.

„ახალ სიტყვათა ლექსიკონის“ გამომცემლობაში წარმოდგენილი ხელნაწერიდან ავტორთან შეთანხმების გარეშე ერთმა პროფესორმა ოკუპანტთა პირველ პირს, ფილიპე მახარაძეს გარკვეული სიტყვები წარუდგინა ნიმუშად. მაშინ იოსებმა „დღიურში“ ჩაწერა: „ჩემს წინააღმდეგ პროფესორმა ვ. ბ. მ ისეთი სიტყვები მოიყვანა, რომ აშკარად პროვოკაციისა და მახეზარობის სუნი უდის (ასე სთქვამს სხვებმა). 1931. 21 ივნისი“. არც მიკვირს, როდესაც განმარტებული იყო თუნდაც სიტყვა „კეტიბა“ – 1923 წელს კოლექტივით გამწარებულმა გლეხებმა ლოპებებს კეტები დააძვრეს და კომუნისტებს დაერივნენ“. აქვეა აგრეთვე „გლეხპროლეტარიატის“ – გლეხობის სრულად გალატაკება, მათთვის სანარმოო ვარალის თუ გამწვევი საქონლის ჩამორთმევა, გლეხის გაბოგანობა, გალატაკება“.

რუსეთის არმია რომ შემოიჭრა თბილისში 1921 წელს, მაშინ

იოსებ იმედაშვილი ბათუმში იყო გაგზავნილი ფრონტის დამხმარე კომიტეტის წევრად. იგი არც ემიგრაციაში გაიხიზნა და არც ტყვემ გასულა, საქართველოში დარჩა ქართული კულტურისა და ქართველი ხალხის, მისი ტრადიციების, მისი ცნობიერების დასაცავად იმ მოღალატეებისგან, რომელნიც რუსეთმა შემოაგზავნა საქართველოსა და ქართველების შიგნიდან დასაპყრობად და გასარყენლად. ამ დროს ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი დარჩა საქართველოში: ქვეყანას აქ უნდოდა დაცვა. დიდი მრევლებსა და ქველმოქმედებს, ძმები ვარაზაშვილების ოჯახში საქართველოს ანმისა და მომავლის პრობლემებზე სამსჯელოდ 1921 წლიდან იკრიბებოდა ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილი: ივანე ჯავახიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი, სანდრო ინაშვილი, იოსებ იმედაშვილი, თამარ აბაკელია, კონსტანტინე გამსახურდია... სწორედ ამ თავყრილობაზე დაიბადა ქართული მწერლობის დასაცველად საქციო საზოგადოების „ქართული წიგნის“ დაარსების იდეა, რომელსაც უნდა დაეცვა ქართული სულიერებისა და ქართული კულტურის ინტერესები. ამ უფლებებს კი მართო „ჩეკა“ კი არ ბღალავდა, არამედ „ჩეკას“ ხელისბიჭებიც – „პროლეტკულტელებიც“, რომელნიც უნიჭობის საკომპენსაციოდ ყველა უღირსობის ჩასადენად იყვნენ მზად... სწორედ ისინი გამოაძევებენ შემდეგ უნივერსიტეტიდან ივანე ჯავახიშვილსა და შალვა ნუცუბიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, სამხატვრო აკადემიიდან – დავით კაკაბაძეს, თავს მოაკვლევინებენ პაოლო იაშვილს, ლექსთა პირველ კრებულს დაუჭრიან ლადო ასათიანს, აკრძალავენ „ლომისსა“ და „კავკასიონს“, იოსების ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“ და ა. შ.

1924 წელს ბოლშევიკები უმოწყალოდ დახოცავენ აჯანყებულ ქართველებს. სწორედ მაშინ იყო, რომ ვაგონში მომწყვდული პატრიოტები ტყვიამფრქვევიდან დახვრიტეს და ვაგონიდან სისხლი ასხამდა.

1925 წელს იოსებ იმედაშვილი მონაწილეობს „მასწავლებლის სახლში“ გამართულ დისკუსიაში, უკომპრომისოდ იცავს გამომცემლობას „ქართული წიგნი“, რომელმაც ილიას ავტომედიული დასტამბა; იცავს ილიას და მის წარმოდგენებს საქართველოს მომავალზე.

„კამათი გამწვავდა. დიდი ღრინცელი და ორომტრილი მოჰყვა“, – წერს იოსები „დღიურში“ და... საბოლოო შედეგი ის იყო, რომ ცოტა ხნის შემდეგ იგი მწერალთა კავშირიდან გარიცხეს. „როდესაც ილიას დევნისა და თავად მისი მწერალთა კავშირიდან უსაფუძვლო ბრალდებით გარიცხვის გამო კავშირის სამდივოს მიემართე, – წერს იოსები, – ერთ-ერთმა მდივანმა „პროლეტკულტელმა“ სანდრო ულმა დაცინებით მითხრა: „აბა, თვალბეჭდით ხომ არ გაკოცებდნენ, როგორ შეიძლება ამ რეაქციონერი თავადიშვილის დაცვაო“. თვალბეჭდით არავის უკოცია, მაგრამ დასაჭერად კი ამზადდებდნენ. იმავე ხანებში კომპარტიის ორგანოში, სატირულ ჟურნალში „წიანგი“ გამოქვეყნდა კარიკატურა წარწერით „ქართველ მწერალთა ფედერაციის მკვდარი სულების დასაფლავება“, სადაც იოსებ იმედაშვილი წინ მიუძღვის მწერალთა დაკრძალვის სამგლოვიარო ცერემონიალს. აქ ჩვენი მწერლობის ნაღებია: მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი,

შალვა დადიანი, ნიკოლო მინიშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია.

ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ საქართველოში ძალადობრივი ქმედებანი და მათი შესაბამისი ენა დამკვიდრდა. ლამის დაჭერების ხმას იოსები წიგნში ვერ დააფიქსირებდა, მაგრამ ახალი ძალადობრივი რეალობის ლექსიკა მაინც შეიტანა თავის „ახალ სიტყვათა ლექსიკონში“. ეს „ახალი“ სიტყვები არც მანამდე არსებობდა ქართულ ენაში და არც შემდეგ დარჩა „ხმარებაში“.

იოსებ ივალაშვილი და პისი ლექსიკონები

სიკონი კი გამოუცეს იოსებს, ისიც ხუთათასიანი ტირაჟით, თანაც, რაკილა ხმა გავარდა, რომ ლექსიკონი სტალინის მხარდაჭერით გამოვიდა, თითქოს შეეშენნ და ეს ამბავი იოსების დამცველ ფირმანად იქცა.

ბავშვობიდან მასსოვდა ეს კაცი – პეტა კაპანაძე, რომელიც პაპაჩემთან მოდიოდა ხოლმე. როდესაც იმხანებში პეტას ცოლ-შვილი დაედუბა, სტალინიმა ფული გამოუგზავნა, თან შემოუთავალა: ახლა მეტი არა მაქვს, ხელფასზე კიდევ გამოვიგზავნიო.

როგორც მოგახსენეთ, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ 1921 წლიდან ქველმოქმედი ძმების, მრევლების, ძმები ვარაზაშვილების ოჯახში ქართველ მოღვაწეთა შეკრებანი ტარდებოდა, რაც ჯერ გერმანიაში „რუსთაველის საზოგადოების“ დაარსებაში გადაიზარდა, შემდეგ თბილისში „ქართული წიგნის“ საზოგადოების დაარსებასა და ქართული მწერლობის დაცვასა და ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ავტომედიული გამოცემასა და „ქართული იდეის“ პროპაგანდაში, შემდეგ კი, ოცდაათიან წლებში, „ქართული საზოგადოებრივი კლუბის“ დაარსებით განვითარდა, რისი მიზანიც და ამოცანებიც იყო: „ქართული საზოგადოების კულტურული და ეკონომიკური საკითხების გარშემო შემოკრება ამ საკითხების შესწავლისა და გამორკვევისათვის საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკურ აღორძინებაში მონაწილეობის მისაღებად“. უმთავრესი მიზანი იყო ამ ყველაფრის იქით „ქართული იდეის“ შენარჩუნება და აქტუალური ქართული პრობლემების სათანადოდ გადაჭრა.

საქართველოს „ენკავედესა“ და „გუბუეს“, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ყურადღების გარეშე არ დაუტოვებიათ:

1938 წელს საქართველოში ერთ-ერთმა გამორჩეულმა, ნიჭიერმა, წარმატებულმა და საქართველოსთვის თავმჯდომარეობა ოჯახმა დიდი რბევა განიცადა, უფროსი ძმადან, ისიდორედან მოკიდებული, ბევრი დააპატიმრეს, დახვრიტეს, ვინც გადაურჩათ, გადასახლეს. მაშინ ერთ-ერთმა ძმამ, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში ცნობილმა მეცნიერმა ვასილ ვარაზაშვილმა კაროლინის სამეფო ინსტიტუტის დავალებით გამოგზავნილი ორი წერილი მიიღო გერმანულ და შვედურ ენებზე, რომელსაც ხელს აწერდა შვედეთის სამეფო აკადემიის ნობელის კომიტეტის თავმჯდომარე გუნარ ჰოლმგენი. წერილში ეწერა: „დიდად პატივცემულო ვასილ ვარაზაშვილო! კაროლინის სამეფო ინსტიტუტის დავალებით გვაქვს პატივი, 1939 წელს მიგიწვიოთ ნობელის პრემიის მოსამოგებლად ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში. გთხოვთ, საატესტაციო დოკუ-


მენტები გამოგზავნოთ ნიაპორტო, კაროლინის სამეფო ინსტიტუტის ნობელის კომიტეტი, სტოკჰოლმი.

ამ დროისთვის ვასილ ვარაზაშვილს დაჭერილი და დახვრეტილი ჰყავდა ძმა, ისიდორე ვარაზაშვილი და მისი ვაჟიშვილი, ქალიშვილი და ყველა ახლოშვილი – ანიოკებული. წერილი კი იყო დიდად საამაყო და სასიხარულო ქართული მეცნიერებისთვის, მაგრამ ვასილმა შვედეთში პასუხი მაინც ვერ გაგზავნა, არავინ იცის, რატომ, მაგრამ გარშემო ყველა იყო გადასარჩენი და იგი იბრუნის თავის ძველ გვარს, ვარაზს და ამით გადაარჩენს ცოლ-შვილს და გადარჩება თვითონაც. მისი უფროსი ძმა ივანე, საქართველოს, თურქეთისა და ირანის რკინიგზების ბრწყინვალე მშენებელი, ირანშია გადახვენილი და საქართველოში ვერ ბრუნდება, მის ოჯახს აქ დაარბევენ და ყაზახეთში გადასახლებენ.

კი, ვიცით ბევრი რამ ოცდაჩვიდმეტზე, მაგრამ მაინც საკვლევიია, რა მოხდა მაშინ თბილისში, ვარაზაშვილების ოჯახში. შემდეგ, როდესაც მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ვასილ ვარაზაშვილი გარდაიცვლება, ოჯახი ნახავს საგანგებოდ შენახულ ნობელის პრემიის კომიტეტიდან გამოგზავნილ წერილს.

ეს დარბეული ოჯახი ანიოკებული საქართველოს სიმბოლოდ იქცა. ოკუპაციის პირველ ორ-სამ წელიწადს ქართველთა აღმოფთობისა და პროტესტებისადმი ოკუპანტები თითქოს შედარებით ლიბალური იყვნენ, მაგრამ შემდეგ, 1923 წლიდან, როგორც ისინი, ისე მათ მიერ გადაბირებული ქართველები, როგორც ადრე ყოფილა ისტორიაში, ისე შემდეგ და ახლაც, ოკუპანტებმა მეტი მონდომებით და წარმატებით გამოიყენეს ქვეყნის გათავისებება და გადაბირებაში, რაც მერე და მერე ენაშიც აისახა და ენასაც შემორჩა თავისი მოღალატური სულითა თუ ქვეგამხედვარობით.


ბოლშევიკებმა ყველა ბოროტბასთან ერთად საზოგადოების შემზადებაც კარგად იცოდნენ, რათა ადამიანები გამოეყენებინათ თავიანთი მონინაღმდეგეების დასაჭერად და დასახვრეტად. სწორედ მაშინ მთავრობის გაზეთში „კომუნისტი“ (1931, 9. VI, გვ.3) მწერალთა ფედერაციიდან გარიცხულთა ოცდაოთხკაციანი სიაც დაიბეჭდა. მასში პირველი კატეგორიით გარიცხულნი იყვნენ კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, შალვა შარაშიძე (თავაქუა), „ემშაკის მათრახის“ რედაქტორი და იოსებ იმედაშვილი, ზემარტიული ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ რედაქტორ-გამომცემელი, როგორც „გამოუსწორებელი რეაქციონერი, უკიდურესი შოვინისტი და ნაციონალისტი“. ეს მიიჩმე ბრალდება ჩეკას მიერ დაჭერილთა და დახვრეტილთა საქმეებშიც ფიგურირებდა. ამ ბრალდებით მაშინ ბევრი იყო განწირული, მაშინ უფრო ნაკლები ბრალდებითაც იჭერდნენ და შეილებმა, შალვამ და გაიოზმა მამას თავის გადასარჩენად მოსკოვში წასვლა ურჩიეს რევოლუციისდროინდელ თანამებრძოლებთან – მიხეილ კალინინთან, იოსებ სტალინთან და სტალინის ცოლისძმასთან, კომისარ ალიოშა სვანიძესთან... ისიც გაემგზავრა და შემდეგ აღფრთოვანებული და იმედოვნებული წერდა მიხეილ ჯავახიშვილს: „ალიოშა სვანიძემ მოკითხვა და „არსენა მარაბდელით“ ალტაცების სიტყვები დამაბარა – „ძლიერ მომწონა, ძლიერ. გადაეცი ჩემი მოკითხვა, სტალინსაც მოსწონსო (ქეთევან ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილი“, 1989, გვ.12-15).



1920 წელს იოსები ემიგრაციაში არ წასულა. იგი ხელისუფლებამ აჭარაში გაგზავნა ფრონტის დამხმარე კომიტეტის წევრად, თანაც სწამდა, რომ საქართველოში საჭირო იყო ბრძოლა ქართული ცნობიერების დასაცავად მათგან, ვინც რუსეთის სამსახურში დგებოდა და ქვეყანას ლალატობდა.

პირველი ორი-სამი წელი ოკუპანტები თითქოს შედარებით ლიბალური იყვნენ ქართველთა აღმოფთობისა და პროტესტებისადმი, მაგრამ შემდეგ, 1923 წლიდან დაიწყო ნამდვილი ბოლშევიკური ძალადობა, სისხლისღვრა, დაჭერები, დახვრეტები, გადასახლებანი – 1923, 1924, 1925, 1926, 1931 და შემდეგ უარესი – 1937... ხალხთა გადასახლება შუა აზიაში, ციმბირში, უკრაინაში.

1925 წელს იოსებმა საჯაროდ და უკომპრომისოდ რომ დაიცვა „პროლეტკულტელებისგან“ შერისხული საზოგადოება „ქართული წიგნი“, რომლის „დანაშაული“ ის იყო, რომ იცავდნენ ქართულ მწერლობას და დაიწყეს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ავტომედიული გამოცემა, მაშინ იოსებ იმედაშვილისა და სხვა ქართველი მოღვაწეების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა დაიწყო. აიკრძალა „თეატრი და ცხოვრება“, იმედაშვილს გაუჩერეს „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ შესამე გამოცემის ბეჭდვა, რომელსაც ცენზორის ბეჭედი 1926 წელს უკვე დარტყმული ჰქონდა და წინ აწინიმი ავტორისა და სხვათა მიერ სასწრაფოდ შედგენილი ლექსიკონები დაუყენეს... მოკლედ, „ლექსიკონის“ ავტორობასაც ართმევდნენ, თითქოს გამოსავალი არსად ჩანდა... თითქოს ყველა გზა ჩაუკეტეს... გამოდის მისი ჟურნალის სპეციალური ნომერი, სადაც ქართველი მოღვაწეები ესარჩლებიან მას და სწორედ ამ დროს ჟურნალის თაობაზე სერგო ორჯონიკიძესთან მისული იოსები სერგოს კაბინეტიდან გამოსულ სოსო ჯულაშვილს (სტალინი) შეეჩუბება, რომელთანაც 1897-98 წლებში ახლო ურთიერთ-



ანდრო ბუაჩიძე

ტიციანის ლირიკული შთავგებობა ბუნების სტიქიის მსგავსია, დიონისურია, მოულოდნელია, მართლაც მოვარდნა და არა უბრალოდ მოდინება; თუკი პაოლოს ლექსი ინარჩუნებს სიმწიფერს, რითმითა თანხვედრას და ეფფონიის პრიორიტეტს, ტიციანის ლექსი ნაპირებგადამლაზველია, კალაპოტიდან ამოვარდნილია, რითმებიც განსხვავებულია, ასონანსურია და დისონანსური, რადგან შინაგანი ძალა, რომელიც მას ლექსს აწერინებს, მენყერივით დამანგრეველია.

ბორის პასტერნაკი ამბობს: „როდესაც ვფიქრობ ტიციან ტაბიძეზე, ბუნების სტიქია მიდგას თვალწინ“. ჩემი აზრით, ტიციანის „ლექსი მენყერი“ არა მხოლოდ ლირიკის მანიფესტაცია, არამედ მთელი მისი სულიერი ბიოგრაფია და ცხოვრებისეული მრწამსი. აქ იკითხება ის ეთიკურ-მსოფლმხედველობრივი მომენტი, ტიციანსა და პაოლოს საზიარო რომ ჰქონდათ: საქართველოს ტრაგიკული ბედისწერის საკუთარ ბედისწერად აღქმა. ეს გახლდათ პირნიდა „Amor Fatī“ ანუ „ბედისწერის სიყვარული“, რომელიც ტრაგიკული განცდითა და ამავე დროს წინათგრძნობით იყო ნაკარნახევი.

მე არ ვნერ ლექსებს, ლექსი თვითონ მნერს, ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს, ლექსს მე ვუნოდებ მოვარდნილ მენყერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს...

ლირიკის კვინტესენცია პასტერნაკის პიროვნებად და მთელი მისი შემოქმედებად. ერთ ადრეულ ლექსში ისიც ქართველი პოეტებივით ლექსის ნაუცბათევი და მოულოდნელი დაბადების მომენტს აღბეჭდავს, ოღონდ განსხვავებული წახნაგით:

И чем случайней, тем вернее, Слагаются стихи навзрыд.

ტიციანისა არ იყოს, პასტერნაკის ადრეული ლირიკაც გლუვ ზედაპირზე უეცრად გამოღვრილი სითხის მსგავსია, რაც მის ნაუცბათეობაზე, სტიქიურობასა და შემთხვევითობაზე მეტყველებს, ოღონდ პასტერნაკთან ვრცელ ლირიკულ პასაჟებს ასოციაციური აზროვნების ხლართი მოჰყვება და ეს ხლართი პირველქმნილების შთაბეჭდილებას ტოვებს. ბუნებრივად აღიქმება, თითქოს ქაოსი ჯერაც არ ქცეულა კოსმოსად. ესეც პასტერნაკის ადრეული ლირიკის ნიშან-თვისებაა. ოური ტინიანოვი აღნიშნავდა, რომ „პასტერნაკთან შემთხვევითობა ყველაზე მჭიდროდ ლოგიკურ კავშირზე უფრო ძლიერ დამაკავშირებელ კომპონენტად წარმოჩნდება“. ამ შეხედულებას თავისებურ განმარტებას დაურთავს ანდრეი სინიავსკი: „ამ ფაქტის ახსნა პასტერნაკის ენის თავისებურებაში უნდა ვეძიოთ. მოულოდნელობის მიუხედავად, ვენდობით და გვჯერა მის მიერ გაბმული მეტაფორული, ბგერითი და სხვაგვარი კავშირებისა, გვჯერა, რადგან ეს კავშირები ძალდაუტანებელი, ბუნებრივი, ყოველდღიური ენით არიან გამოთქმულნი. შემთხვევითობა აქ ბუნებრიობის გამოხატველია, ბუნებრიობა კი ლირიკული თხრობის სინრფელეს ამჟღავნებს“.

რამდენადმე მსგავსი ვითარებაა პაოლოსთან. აქ ბუნებრიობასთან ერთად სინრფელის ნოტი ეფფონიური სისავის კომპონენტი. რითმა პასტერნაკთანაა და პაოლოსთანაც ლექსის ბგერით ორგანიზებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს. ვალერი ბრიუსოვი – რუსული სიმბოლიზმის პირველი თაობის პოეტი და ლექსმცოდნე – პასტერნაკს ახალი რითმის დამამკვიდრებლად მიიჩნევდა. პასტერნაკისთვის ნიშნულია სტრიქონთა შიგნით თავისებური ბგერითი სიტყვათშეხამებანი, პაოლო კი შიდა რითმების მეშვეობით ორიგინალურ ეფფონიურ ნახაზს ქმნიდა. მასთან ამგვარი ეფფონია არა მხოლოდ კეთილზმოვანების, არამედ ტრაგიკული დისონანსის შთაბეჭდილებას აღძრავს: დაიტანჯა მაჯა/ მარჯვის/ მძიმე ჯაჭვის ტარებით/ ბგერი ცრემლი დამეხარჯა/ ერთ ღამის ნეტარებით/... და ა.შ. რადგან ლირიკის დაბადებაზე ვილაპარაკეთ, არ უნდა დავავინყდეს ანა ახმატოვასეული ლირიკული ლექსის დაბადების მომენტიც და ლექსების ციკლი „ხელობის საიდუმლოებანი“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ მის შემოქმედებაში.

Но вот уже слышались слова И легких рифм сигнальные звоночки, Тогда я начинаю понимать, И просто продиктованные строчки Ложатся в белоснежную тетрадь.

აკაკი განერელია იხსენებს: „რამდენი დრო მიტარებია ტიციან ტაბიძესთან და პაოლოსთან ერთად გამთენიისას – ხაშის ან ფითის ძიებაში, რომ ყველაფერი ისე შეზარხოშებით დამთავრებულყო და პაოლო იაშვილი ანაზდად წამოიწყებდა, მაგალითად, ელენე დარიანის ფსევდონიმით დანერულ შესანიშნავ ლექსს „ანა ახმატოვასადმი“:

მე მინდა გითხრა სამძიმარი, რომ ბლოკი მოკვდა! ხანდახან ჩუმი და მძინარი მეცა ვარ ბლოკთან. ჩამოდი ჩემთან, მე მგონია, ვიქნებით დები: თუ პეტერბურგის აგონია გიყვარს... და ცვდები...“

მოგონების ავტორი იქვე დასძენს: „თანაც როგორი აბსოლუტური სრულყოფილებით კითხულობდა იგი ზეპირად რუსი ავტორის ლირიკულ შედევრებს ან საკუთარ ლექსებს! იგი ამოდიოდა ჩვენი პოეტური მეტყველების ბუნებიდან, მახვილთა ფაქიზი და სწორი განაწილებიდან!“

პაოლო - ხაუარი და მქონეპარება

შტრისები პაოლო იაშვილის პორტრეტისათვის

ანა ახმატოვა თავის მოგონებებში ამბობს: „ტიციანი და პაოლო 30-იანი წლების დასაწყისში გავიციანი ბორის პასტერნაკთან. ჩვენ, რუს პოეტებს, საქართველო მათი სახით გვქონდა წარმოდგენილი...“

ბორის პასტერნაკი და ანა ახმატოვა XX საუკუნის უდიდესი ლირიკოსები არიან, ამიტომაც მათი აზრი ორი ქართველი პოეტის შესახებ დღეს უკვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს...

„პაოლო იაშვილი პოსტსიმბოლისტური პერიოდის შესანიშნავი პოეტი. მისი პოეზია ზუსტ მონაცემებსა და განცდის ცხოველყოფილობაზე დაფუძნებული. პაოლოს შემოქმედება ანდრეი ბელის, ჰამსუნის და პრუსტის ევროპული პროზის მსგავსია და მათი პროზისგვარად ზუსტ და ცინცხალ დაკვირვებებს გვთავაზობს. ეს არის უკიდურესად შემოქმედებითი პოეზია, რომელიც არ არის გადატვირთული მყვირალა ეფექტებით. აქ ფართო სივრცეა და გამჭვირვალე ჰაერი. ეს პოეზია სუნთქავს და მოძრაობს“, – ყოველივე ამას ბორის პასტერნაკი პაოლო იაშვილის ლირიკის შესახებ წარმოთქვამს. ერთი მხრივ, აქ საუბარია დაკვირვებაზე და, მეორე მხრივ, გრძობად მასალაში სიცოცხლის შეტანაზე.

პაოლოს მართლაც აქვს გარკვეული კატეგორიის ლექსები, სადაც პოეტის უკიდურესად დაკვირვებული თვალი იგრძნობა. ეს ლექსებია „ბალის ამბავი“ და „დილა“. პასტერნაკს ორივე თარგმნილი აქვს. პაოლოს თვალი ბუნების შიგნით მოძრაობს და დღის მანძილზე დროის უჩინარი დინების ფონზე ბუნების ისეთ ფერისცვალებას, შუქ-ჩრდილების ისეთ მონაცვლეობას ამჩნევს, რომელიც არა მხოლოდ თვალით იხილება, არამედ მთელი სხეულით შეგრძნობა. დღის ფერისცვალებასთან ერთად პაოლოს შინაგანი განწყობა, შინაგანი მდგომარეობა თავისდა უნებურად ეცვლება და ეს ცვლებადობათა ხარისხი, ეს განწყობათა გრადაციები აღბეჭდილი ლექსებში. და აი, აქ კიდევ ერთხელ თვალსაჩინოვდება პაოლოს ხმაურისანი არტისტული ცხოვრებისა და მარტოობის დიალექტიკური ერთიანობა. თითქოს სიცოცხლის ჩქეფას დანაფებული კაცი სულს ითქვამს, აკვირდება ბუნების ერთ დროსმიერ მონაკვეთს და გულისყურით ისმენს საკუთარ არსებაში გარესამყაროდან შემოჭრილ ხმას. ასეთი ლექსია, როგორც უკვე ვთქვით, „ბალის ამბავი“.

დავითენთები, მომინდება ამინდის სინჯვა, ბგერი ნდომია მუშაობა ლექსების ბერტყვას, და ვხედავ, ბაღში წვიმა ცვივა კრიალა ბრინჯად, წვიმა, რომელიც მომავონებს მოვარდნილ სეტყვას.

შემდეგ ამ წვიმას საღამომდე სიჩუმე მოსდევს, ბავშვების ფხტა ანაბეჭდებს სილაში სძინავს, უცბად რაღაცა შეაშფოთებს კოპიტის ტოტებს, ეს ბელურაა, რომ იბერტყავს ფრთებიდან წვიმას.

მოვა საღამოც... ისევ შევალ ნანვიმარ ბაღში და უცბად ვიგრძნობ, ჩასვლის უმალ მზე აქ ყოფილა, დაეკვირდები ღობეს, ფოთლებს, დაგდებულ ნახშირს, და ყველაფერმა მზის აქ ყოფნა შემატყობინა.

მერე ამ სითბოს და ამ ბალის პატარა ამბავს შევიტან სახლში, ღია მრჩება ფანჯარა, კარი, ლოგინზე მთვარე გადააფენს ცივ ტილოს საბანს და როგორც ლექსის დასაწყისი, ამოდის ქარი.

ამ ლექსში პაოლო თავისი განცდის შესახებ კი არ მოგვითხრობს, არამედ უშუალოდ განცდისმიერი დინამიკა გადააქვს პოეტურ ფრაზაში. ვფიქრობ, ამასვე გულისხმობს პასტერნაკი, როცა პაოლოსთან „განცდის ცხოველყოფილობაზე“ და „მოულოდნელ, ცინცხალ დაკვირვებებზე“ საუბრობს, რაც მას XX საუკუნის პროზის პრივილეგიად აქვს მოხსენიებული. სხვათა შორის, ამის შესახებ წერს გურამ ასათიანი წერილში „ახალი პოეტის სათავეებთან“ და ამ ნიშნებს ზოგადად თანამედროვე ლირიკისთვის დამახასიათებელ თავისებურებებად მიიჩნევს. ის ამბობს: „შეიძლება ითქვას, რომ თუ კლასიკური ლირიკა მოგვითხრობდა განცდის შესახებ, ახალი პოეზია თვით განცდის ასახვას შეუდგა“. ჩემი აზრით, ეს იმდენად პასტერნაკისეული „ცინცხალი დაკვირვება“ არ არის, რამდენადაც ამ დაკვირვების შედეგია, სიცოცხლისმიერი დინამიკის ლექსში განხორციელება. პასტერნაკიც რამდენადმე ამას გულისხმობს. გურამ ასათიანს ქართული ლირიკის ამ ნიშან-თვისების სათავედ ბარათაშვილის „შემოღამება“ მიაჩნია. აი, როგორ აკვირდება პოეტი მთანმინდის ლანდშაფტს, მერე კი სიცოცხლის დინამიკა შეაქვს ლექსში:

ჰოი, მთანმინდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი, დამაფიქრველნი, ვერანანი და უდაბურნი...

გურამ ასათიანი XX საუკუნეშიც გადმოდის, გალაკტიონს და ცისფერყანწილებს ეხება: „განცდისა და განწყობილების ცვალებად გრადაციათა საოცრად ზუსტ გამოხატვას მიაღწია გალაკტიონ ტაბიძემ. ამ მხრივ სხვა, მასთან შემოქმედებით ნათესაობაში მყოფ პოეტებთან ერთად მან ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული ლირიკა“. ცხადია, ეს „შემოქმედებით ნათესაობაში მყოფი პოეტები“ ცისფერყანწილები არიან და მათ შორის არის პაოლო იაშვილი, მათი ლიდერი. გარე სინამდვილესთან უშუალო შეხების წარმოჩენა და იმავდროულად განცდის დინამიკის გაცოცხლება ლექსში – ამის პირდაპირი ილუსტრაციაა პაოლოს სხვა ლირიკული ნიმუშიც – „დილა“:

დილა დაასწრო ჩასაფრებულ ფიქრის სიმარდეს, სიჩუმე ქვიშას ეფინება გამთბარ წუთებად, ხელისგულიდან სიო ძირს რომ გადამივარდეს, მწვანე ბალახში წივილივით დაფაცურდება!

მე ვფიქრობ, რუსეთშიც შეიძლება მოვიძიოთ პოეტი, რომელიც დაკვირვებისა და „ადამიანის სულის შინაგანი დინამიკის“ გადმოცემის ოსტატობით უახლესი რუსული ლირიკის წინამორბედად წარმოგვიდგება. ასეთია რომანტიკოსი ფიოდორ ტიუტჩევი. ის დამკვირვებელიც არის და თავის დაკვირვების საგანში ფარული დინამიკის შემტანიც:

Есть в осени первоначальной Короткая, но дивная пора – Весь день стоит как бы хрустальный И лучезарны вечера...

Где бодрый серп гулял и падал колос, Теперь уж пусто всё – простор везде, Лишь паутины тонкий волос Блестит на праздной борозде.

ამ ლექსში კარგად ჩანს, რომ პოეტის მახვილი თვალი მარჯვედ მოიხელთებს ადრეული შემოდგომის იმ მონაკვეთს, როცა დღეები ბროლივით გამჭვირვალეა და საღამოები კი ნათელმოსილი. ეს არ არის უბრალოდ შემოდგომა, ეს არის შემოდგომისეული მცირე დროითი მონაკვეთი, რომელსაც მხოლოდ პოეტის ფარული მზერა ამჩნევს და უფრო მეტიც: პოეტი მსხვილი პლანით წარმოაჩენს მინაზე გავლებულ კვალში ობობას ქსელის ერთ წვრილ ძაფს, მზის სხივზე რომ ბზინავს. ბუნების ეს ძლივსშესამჩნევი სურათი მომწუსხველი სიცოცხლისმიერი დინამიკით თრთის.


XX საუკუნის რუსულ ლირიკაში ამგვარი სურათების ხატვის ოსტატი თვითონ ბორის პასტერნაკია. მისი მრავალი ლექსის გახსენება შეიძლება, გავიხსენოთ თუნდაც „Снег идет“. აქ ფანჯრიდან გადაშლილი ხედა და ხშირი ფიფქთაცვენა, სიცოცხლის დინამიკა ფიფქების უწყვეტი მსვლელობის მეშვეობით არის გადმოცემული. პასტერნაკი ცდილობს, აღბეჭდოს განწყობა, რომელსაც თოვლის თავბრუდამხვევი სრბოლა იწვევს. თითქოს უძრავი საგნებიც ამოძრავდებიან და ფიფქების მოუსვენრობა ეუფლებათ. საოცარი კარნავალია – მთელი სამყარო ბრუნავს ფიფქთაცვენის გამო. თუ გალაკტიონის „თოვლში“ ადამიანის ექსისტენციური მიუსაფრობის თემა მთავარი, პასტერნაკთან ლირიკულ ინდუქციას სხვა მოტივი მოსდევს – ფიფქთაცვენა წარმავლობასთან ასოცირდება:

Может быть, за годом год Следуют, как снег идет, Или как слова в поэме?

ოსიპ მანდელშტამი წერს, აკმეიზმი მსოფლიო კულტურის მონატრებელია. იგივე იყო ქართველი სიმბოლისტებისთვის სიმბოლიზმი. რა გზითაც უნდა შემოსულიყო ეს მსოფლმხედველობა – უშუალოდ ევროპიდან თუ რუსეთიდან – მაინც ევროპულ კულტურასთან ზიარების ფაქტად იქცეოდა. ანტონიო მარჩალოს სიტყვით, „ლირიკული პოეზიის ღრმა პერიოდი დამთავრდა ქვეცნობიერის რამდენადმე მზარდ კულტივირებას. სწორედ ამ პერიოდმა შეგვიძინა ფრანგული სიმბოლიზმის არაერთი უკვდავი ნაწარმოები. ეს იყო სკოლა, რომელმაც თავისებურ სრულყოფას მიაღწია“. ცოტა ქვემოთ პოეტი წერს: „ფრანგულ სიმბოლიზმს რომანტიკული სუბიექტივიზმის აშკარა დაღმასვლა მოჰყვა.“

ყოველივე ეს საინტერესოა, რადგან სიმბოლიზმი ნამდვილად ნეორომანტიკული აზროვნების მწვერვალი იყო. ჩვენში დღესაც კი მოქმედებს საბჭოთა ცენზურას მიდევნებული ინერციის კვალად ერთგვარი იდეოლოგიური სტერეოტიპი: ყველა მნიშვნელოვანი პოეტი უნდა განარიდონ სიმბოლიზმს, თითქოს სიმბოლიზმი უნაყოფობის, სიბერნის მომტანი სნეულება იყო. არადა, პირიქითაა, ეს რთული, მრავალმხრივი მიმართულება სრულიად სხვადასხვაგვარი ნიშნით ახდენდა გავლენას თვითონ ფრანგ და სხვა უცხოენოვან პოეტებზე. ვთქვათ, ქართული ლექსის ძირეულ რეფორმას საინისოდ შეუწყო ხელი, რომ ზოგადად მაღალი ვერსიფიკაციული კულტურა და ტექნიკური ინვენტარის უკიდურესი დახვეწილობა დაეკანონებინა. ამის კვალაზე რითმა მთავარ კომპონენტად იქცა. ხშირად რითმა ამბობდა დიდნილად სათქმელს. 1916 წელს დანერულ პაოლოს ცნობილ ლექსში „წერილი დედას“ პოეტის სულიერ ფორიაქს ხელშესახებად გადმოგვცემენ ტიხილი, ცვალებადი რიტმი და განსაკუთრებული რითმები, ასონანსები და დისონანსები:

როცა მე ქუთუბს მეგობრად მრაცხავენ, სოფელში ვენახი გახდა მოსარწყავი.



ზურაბ თორია

სჯის

სამოღვე წლის წინათ ერთ-ერთი ყვავილასული პარტიის მესვეურები მთელი თვის მანძილზე აფხაზეთთან დაკავშირებით გრანდიოზული აქციის ჩატარებას გეგმავდნენ. ვიცოდი, ეს აქცია საზოგადოებისთვის თავის შესახებ შეხვედრის საფორმად, თორემ არაფერი საერთო არ ჰქონდა აფხაზეთთან, რადგან მათ, გულსგარე განცხადებების გარდა, აფხაზეთის დასაბრუნებლად და დევნილთა სასარგებლოდ ხელი არ გაუწოდებიათ. ის კი არა, თავიანთი მმართველობის პერიოდში დევნილებს სეპარატისტებზე დაუნდობლად ეპყრობოდნენ: პოლიციის საშუალებით ყრიდნენ გაჩანაგებული და დევნილთა მიერ საცხოვრებელს დამსგავსებული სადგომებიდან, რადგან წინასწარ პრივატიზაციის ნუსხაში ჰქონდათ შეტანილი და ექსპრესოდ მათი გაყიდვა. დევნილებიდან ვისაც რა შნო აღმოაჩნდა, აქვე მოიწყო ცხოვრება და ეჭვი მაქვს, მათი ერთი ნაწილი აფხაზეთში არც დაბრუნდება, ხოლო დანარჩენებიდან ზოგი უცხოეთსა და ზოგიც საქართველოში განაგრძობს დღესდღეობას. და ამ ფონზე გადმოვხედილი ლოზუნგი აფხაზეთის დაცვის შესახებ, რა თქმა უნდა, ამ პარტიისთვის მომგებიან თემად აღიქმებოდა; მიუხედავად იმისა, რომ მათი სიცრუის ტექნოლოგიებში საკმაოდ ვიყავი გათვითცნობიერებული, ცნობისმოყარეობით ძლეული, მაინც ნავედი მიტინგზე.

ის-ის იყო, მეტრო „რუსთაველიდან“ ამოვედი, რომ აფხაზეთის მოსაზღვრე რაიონის მკვიდრი, ან „გადედაქალაქებული“ ლიტერატორი შემხვდა. იგი საკმაო ხანს ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობდა ევროპაში. თავიდან ცოლი გადაიხვეწა, წლების განმავლობაში ქმარ-შვილისა და სამშობლოს სახაზავად არც ჩამოსულა, მერე შვილები გაჰყვინნ მის კვალს, ბოლოს ამასაც არ მოუთმინა გულმა და ესეც საზღვრებს იქით აღმოჩნდა. სიტყვა – აღმოჩნდა სწორედ რომ უხდება მის მდგომარეობას, რადგან საპენსიო ასაკს მიტანებულს იქ არავითარი პერსპექტივა არ ელოდა. ამბობდნენ, სამბორბლიან ველოსიპედზე ამხედრებული სამთავრობო კორესპონდენტები ავრცელებდა და შესაბამის ანაზღაურებასაც იღებდაო. რა თქმა უნდა, არანაირი შრომა სათაკილო არ არის, მაგრამ, გარკვეული ამბიციების მქონე ლიტერატორი შიკრიკობას

რომ იწყებს, საკმაოდ უხერხულად მიჩვენება. ახლა გაოდგებიან და დამწყვილებენ, გასულ საუკუნეში ხარ ჩარჩენილი, მაგრამ რა ვქნა, არ მომნონს რთვა ლიტერატორი შიკრიკი ან ფოსტალიონი ხდება, ხოლო შიკრიკები და ფოსტალიონები ლიტერატორობას, მინისტრობასა და ქვეყნის მართვა-გამგეობას იჩემებენ.

მოკლედ, სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ მიწა ამ კაცის სახე გადმოვცე, თუ ვინ არის ეს ლიტერატორი სინამდვილეში და რა პოტენციის შემოქმედი. ჩემი აზრით, სულაც არაა სავალდებულო, ყოველი მოქალაქე პოლიტიკოსი ან ხელოვანი იყოს. კი ჯობდა, ყველას თავისი საქმე ეკეთებინა, მაგრამ ადამიანთა ამბიციურობას საზღვარი არა აქვს...

დიდი ხნის უნახავს გულლიად შეხვდი. მან თავშეკავებულად გამოიღმა და ამით ხაზი გაუსვა პირად აღმატებულობას, რაც, ჩემი აზრით, საზღვრებს იქით წლობით მის ყოფნას უკავშირდებოდა. მიუხედავად ამისა, მოკლედ მიმოვიხილეთ აქეთური თუ იქითური და ბოლოს მიტინგის თემას შევეხეთ. იგი შენუხებული ჩანდა, აქციაზე რა ცოტა ხალხია, მეგონა, დევნილების ტევა არ იქნებოდაო. ბუნებრივია, ამ პარტიის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქედებათა გამო, დევნილებიდან ამგვარ აქციას ცოტა თუ შემოუერთდება-მეთქი, იყო ჩემი პასუხი. კი მაგრამ, შენ ხომ აქ ხარ, მათ რა უშლით ხელს, თავიანთი განწყობა კიდევ ერთხელ დააფიქსირონო (დააფიქსირონო...) დიახ, აქ მთავარია დაფიქსირება, თორემ სინამდვილეში, დევნილთა პრობლემები ამათ საერთოდ არ აწუხებთ-მეთქი... აჰა, გასაგებიაო, მომიგო, მაგრამ მისთვის რა იყო გასაგები, ვერ მივხვდი. ამ სიტყვებს შეკითხვა მოაყოლა: აი, პირადად შენ აქ რა მიზნით ხარო. მინდოდა, საკუთარი თვალთ მენახა, ამათ რეალურად რამდენი მოქალაქე უჭერს მხარს-მეთქი. მან ეჭვის თვალთ გადმოხედა. ამას ხომ საღამოს საინფორმაციო გადაცემებიდანაც შეიტყობდით. არა-მეთქი. მათი საინფორმაციო საშუალებები სიცრუის ტექნოლოგიაში იმდენად დაოსტატდნენ, ხუთასს ხუთი ათასად მოგაჩვენებენ-მეთქი... ესე იგი, როგორც ჩანს, შენ არ გინდა აფხაზეთის დაბრუნებაო, მკვახედ მომიგო. საიდან დაასკენი-მეთქი. აი, მე მოვედი ამ მიტინგზე და მხარს ვუჭერ ამ აქციის მომწყობთა მონოდებებს, შენ კი აქ მხოლოდ დამკვირვებლად ხარ მოსულიო. შენი ნათქვამიდან ისე გამოდის, შენ და ამ ქვაბავაზაკებს უფრო შეგტკივთ ჩემს სახლ-კარსა და ჩემ მიწაზე გული, ვინემ მე-მეთქი. იქნებ, ასეც იყოსო, მომიგო.

და მაშინ მივხვდი, რომ ის ამ მიტინგზე ნამხედრობით იყო მისული და არა ქეშარიტი თანაგრძნობით ნაკარნახევი გრძნობით. მის რომანებსა და, საერთოდ, ნაწერებს სწორედ ამგვარი ნამხედრობის გამო აკლდა ინდივიდუალობა, რომლის გარეშეც შემოქმედი ხელოსანზე მეტად ვერ ამალდებოდა.

ისეთ ცუდ გუნებაზე დავდექი, მისი ერთი უდღეური რომანის მთავარი პერსონაჟის სახელი ვაჯახე, ისეც ის მოგკვდომოდეს-მეთქი, ზურგი ვაქციე და ჩემ გზას დავადექი.

საღამოს მედიის საშუალებებით ცნობილი გახდა, რომ მთელი ქვეყნის მოქალაქეთათვის ერთი თვის ნახევრად „საყოველთაო“ მიტინგს სამიდან ოთხი ათასამდე პარტიული აქტივისტი და ქუჩაში შემთხვევითი გამველენილა დასწრებიან.

გამოცდა

ოცდაათი სტუდენტი მთელ ინსტიტუტში სიმკაცრით ცნობილ ფიზიკოლოგიური ქიმიის ლექტორის კაბინეტთან ვდგავართ. ზუთხია გოგოებს სქელი კონსპექტები უჭირავთ, ნერვულად ფურცლავენ და მზა ფორმულებს იხეპირებენ. მათი სასონარკვეთილი სახეების ცქერა ცუდად მხდის, ცალკე ვდგავარ და ვფიქრობ: რატომ არ წავშავდები შინ, რამდენიმე საკითხს მაინც გავიმეორებდი, ხვალ გავიდოდი და, იქნება, დამაკმაყოფილებელ ნიშნს ვღირსებოდი-თქო. მაგრამ რატომაც ფეხს ვითრევ. გოგოები გამაღებულ რატრატსა და ჩურჩულში უცებ კონსპექტს თვალს მოაცილებენ, შემომხედავენ და მეკითხებიან, კარგად ხარ მომზადებული? მხრებს ვიჩეჩავ და ვდუმვარ. ისინი ეჭვის თვალთ ამხედ-დამხედვენ და ისეც მოჰყვებიან ზუთხვას. ამ დროს ანბანის მიხედვით გამომიძახებს. ჩემი გვარი ხშირად მღალატობდა-ხოლმე. როცა გამოცდაზე პირველს არ მინდოდა გასვლა, არ შეიძლებოდა, არ გამოვეძახებ. და ახლაც პირველს მიხმეს. გახარებულმა გოგოებმა კარი ფართოდ გამიდეს და, ლომის გალიაში კურდღელს რომ შეაგდებენ, იმგვარად ამომაყოფინეს ლექტორის წინ თავი. ამ ქალბატონს პირველად ვხედავდი, რადგან ლექციების კურსს სხვა გვიკითხავდა და მისმა შავგვრემანმა, დახვეწილმა სახემ და მშვიდმა, კეთილმა გამომეტყველებამ წამით იმედი ჩამისახა, მაგრამ ეს იმდენად ბუნდოვანი შეგრძნება გახლდათ, ზუსტად ვერ გადმოვცემ, რა კატეგორიისთვის მიმეკუთვნებინა.

– მობრძანდით, მაგდალასთან დაბრძანდით, ბილეთი აიღეთ და პასუხი მოიფიქრეთ, – დაბალი, ხავერდოვანი ხმით დამიყვავა ლექტორმა, თვითონ კი მაგიდაზე დახედავებული ხელნაწერების კითხვა განაგრძო.

მუხლების კანკალით გავემართე მაგიდისკენ, დავეჯექი, პირველსავე ბილეთს თამამად დავუნვი, რადგან სულ ერთი იყო, რომელი შემხედებოდა. თვალთ გადავავლე, დავერწმუნდი, რომ სული საკითხიდან ვერც ერთს ვერ ვუპასუხებდი და რუსებისთვის დამახასიათებელი გულგრილობით „А нам всё равно!“ გულში რამდენჯერმე გავიმეორე. ჩემი დუმილი საკმაო ხანს რომ გაგრძელდა, ლექტორმა თავი აიღო, დამაკვირდა და უეცრად დიმილით მკითხა:

- რატომ ხართ ასე გაფითრებული, თქვენ რა, ავად ხართ?
- დიახ, – დავერწმუნე ჩემდაუნებურად.

ქალის სახიდან დიმილი გაქრა და მთელი სიღრმით თანაგრძნობა აისახა.

- მაინც რა განუხებთ?
- გულის მანკი, – ისეც ჩემდაუნებურად დამცდა.
- რას მეუბნებით! – შეიცხადა ლექტორმა, კალამი ხელნაწერებზე დააგდო, წამოიჭრა და მომიახლოვდა. – ახლავე მომიყევით, რა ფორმითა გაქვთ და მკურნალობის როგორ კურსს გადინართ.

ლექტორმა უკან დასახევი გზა იმდენად მომიჭრა, იძულებული გავხდი, ტყუილები მეფრქვია. პროფესიული დეტალების დაწვრილებით მოყოლამ ისე გამიტაცა, რაც ჩემი ახლო ნათესავი ექიმის წყალობით ვიცოდი, თვითონვე დავრჩი გაცივებული. ლექტორმა დაწვრილებით გამოკითხა ოჯახური მდგომარეობა, მატერიალური მხარე. მიყურებდა და სიბრალულის ნიშნად თავს იქნევდა, უიმე, ეს რა გავიგე დღესო. ბოლოს მეუბნება, მატრიკული მომიციო. თავს ვიკავებდი. მან ეს ჩემს თავმდაბლობას მიაწერა, მატრიკული ლამის ძალით გამომგლიჯა, საგნის გასწვრივ დიდი ხუთიანი ჩანერა, მატრიკული დაკეცა, გამომიწოდა და მთელი ათი წუთი ჩემს დარიგებას დაუთმო: ასე მოიქეცი, ასე და ასე დაცავი თავიო და მისთანები. მერე – თავისუფალი ხარ, შემდეგ სტუდენტს გადაეცი, შემოვიდესო, დამემშვიდობა და საკუთარ ჯანმრთელობაში ლამის დაეჭვებული, გაოგნებული გამომისტუმრა.

ზურგსუკან კარი არც მქონდა მიხურული, რომ რომელიღაც გოგომ მატრიკული გამომიტაცა, გადაშალა და – ხუთიანი მიუღიაო, დაინივლა.

ოცდაათი ხელი გატკაცუნდა ჩემს თავზე, ახ, შე აფერისტო მერგელო, ვის ატყუებდი, არაფერი ვიცო!

თავის მართლებას აზრი არ ჰქონდა.

ვაიმე, რა გვიშვილობს!

ხშირად მიხმობენ ბავშვობის ტკბილ-მწარე მოგონებები და იმ შორეულსა და სანატრელ დროში ისე დამაბრუნებენ, იქიდან გამოლნევა ძალიან მიჭრს.

აი, ახლაც, მახსოვრობის ლაბირინთებიდან ბაბუს ბიძაშვილის ქვრივის სახე ამომიტივტივდა. ერთიანად სახედანოჭებული, ნამლევა, შავ კაბასა და უზარმაზარ შინ ნაცსოვ, ღუნღულა შავ თავსაფარში გახვეული, ადრიან გაზაფხულსა და შემოდგომაზე ილიაში ამოჩრილი ტომრებით გამოგვეცხადებოდა. მას მამაჩემის კბილა შვილი სრულიად ახლგაზრდა გარდაცვლიდა და მამაჩემისთვის თმის კულული თავისი ხელით შეუკვეცავს (აფხაზეთში წესი ჰქონდათ ამგვარი, მამას ამ მოხუცისთვის გარდაცვლილი შვილის მაგივრობა უნდა გაენია).

მოსუცს მადია ერქვა. ასაკისა და სიღუბნის მიუხედავად, თავი მხნედ ეჭირა. ჩვენ შორის ჩაჯდებოდა, სწავლის ამბებს გამოგვიკითხავდა, შეგვაქებდა, ფლანელის ხალათის ჯიბიდან ფორიან კანფეტებს გამოაჩენდა, დაგვირიგებდა და ძველი დროის სახელგანთქმულ ვაჟაკებზე გასაოცარ ამბებს გვიყვებოდა.

ერთხელ მეჭეჭებით დაფარული თითები დაგვითვალა, ეს რა დაგმართინათო, შეიცხადა და მყისვე შეატარინა დანა, ნახშირის ნატეხი, გამჭვირვალე ჭიქით წყალი, სათითოდ ყველასთვის თითო მნიკვი მარილი და ბინტი მოითხოვა. ჭასთან მიგვიყვანა, ბინტი გახვეული მარილი მეჭეჭებიან თითებზე დაგვადო, დანა ჭიქაში დაასველა და ნახშირის ფხეკითა და ხმადაბალი, უცნაური სიტყვების ბუტბუტით შე-

გვილოცა. ბოლოს ბინტი გახვეული მარილი ჭის გვერდით დამარხა და – ერთ კვირაში ეგ თქვენი მეჭეჭები გაგიქრებათო, შეგპირდა. ბავშვებს შელოცვის მაიცდამინც არ გვეჯეროდა, მაგრამ, მისი ხანდაზმულობისადმი პატივისცემისა და ცნობისმოყვარეობის გამო, ამ რიტუალში თამამად მივიღეთ მონაწილეობა და მშობლებთან ამის შესახებ კრინტი არ დაგვიძრავს, რადგან ვიცოდით, მამა ყოველგვარი შელოცვისა და მჩიბავობის წინააღმდეგი იყო.

რამდენიმე დღეში მეჭეჭები თითებიდან მართლაც უკვალოდ გაგვიქრა და საბუთად მადიას შელოცვები მოგვყავდა. მამა ამ ამბავს სექსუალურად შეხვდა, მაგრამ არც ფაქტის უარყოფა უცდია...

მოკლედ, ეს ჩვენი მადია ბებია მამას დიდხანს მოთმინებით ელოდებოდა. როგორც კი გამოჩნდებოდა, მიეგებებოდა, თავზე ხელს თავისებური ყესტით მრავალგზის შემოავლებდა, მკერდას და შუბლზე ეამბორებოდა, კითხვა-მოკითხვის შემდეგ ბუბრის ცეცხლს მიფიცხებული დაწვრილებით მოუყვებოდა თავისი ოჯახის გასაჭირს. შენ რომ ნუხდები, შენი რძალი რატომ არ მოდისო, უსაყვედურა ერთხელ მამამ. მოხუცმა რძლის გამართლება სცადა, ოჯახის საქმეს ვერ აუდის, თან მომენტურად, თქვენი ნახვა მინდოდაო, დაამატა. მამა ტომრებს სიმინდით აუვსებდა, გაბმული უარის მიუხედავად, ჯიბეში ფულსაც ჩაუკუჭავდა, თავისი სამსახურის მსუბუქი ავტომანქანით შინ გაისტუმრებდა და რამდენიმე დღეში შემთ დატვირთულ მანქანასაც აახლებდა.

მისი დალოცვა ახლაც მიდგას ყურში და გულს მალამოდ ესაღბუნება.

ერთ შემოდგომას, როგორც ჩანს, ჩვენს კუთხეში მოსავლის სიმწირე იყო. დედაჩემმა, ალბათ, უფრო თავისთვის, ხმამაღლა გაიფიქრა, გაზაფხულზე რა გვეშველება, ის საცოდავი მადია რომ მოგვაღებდა, შეუძლებელია, ხელცარიელი გავუშვათ, სიმინდი ჩვენ თვითონ არ გვეყოფა და შიმშილით ამოვწყდებითო...

მისი სიტყვები ძილში ჩამყვა. სკოლაშიც დედაჩემის ნათქვამი მიტრიალებდა თავში და, გონება-გაფანტულობის გამო, მასწავლებლებისგან საყვედურები ვინვნიე.

ორი დღე გაყურსული დავდიოდი. განვიცდიდი, რა გვეშველება, გაზაფხულზე შიმშილით თუ დავისოცეთ-მეთქი.

მესამე საღამოს მამაჩემის მეგობარი გვეწვია. დედამ მას და მამაჩემს მისაღებ ოთახში სახელდახლო სუფრა გაუშალა. მე სუფრიდან მოშორებით, მოტარცალე ბუხართან ვიჯექი და ცალი ყური მათი მხიარული საუბრისა და ომანიანი სადღეგრძელოებისკენ მქონდა მიპყრობილი, მაგრამ უფრო ჩემი საფიქრალი მტანჯავდა და მიკვირდა, მალე შიმშილით დახოცვა გვემუქრება, ამათ რა უხარიათ-მეთქი და ჩემდა უნებურად აღმომხდა: – ვაიმე, რა გვეშველება!

მამაჩემის მეგობარს ჭიქა ხელში შეაცივდა..

- რა იყო, რა განუხებს ასეთი!
- შეიცხადა მოგვიანებით. – მოდი აქ და მომიყევი, რა დაგემართა! – დამიყვავა.

მეტყველების უნარდაკარგული მამაჩემი თვალდაჭყეტილი მომჩერებოდა.

– რა და, ამ წელიწადს სიმინდის მოსავლიანობაა თურმე. სასიმინდეში ისე ცოტა სიმინდი გვიყრია, გაზაფხულამდე არც გვეყოფა და შიმშილით ამოვიხოცებით! – გავამხილე ჩემი ჭმუნვის მიზეზი.

ამ დროს ოთახში ცხელ-ცხელი ხაჭაპურებით დატვირთულმა დედაჩემმა შემოაბიჯა, მაგიდასთან მივიდა, თევზები მისწი-მოსწია, ხაჭაპურებს ადგილი მიუჩინა, ზურგსუკან დაუდგა და ბაგეზე ხელის აფარებით მანიშნა, გაჩუმდით.

– რას მარუმებ, თვითონ არ თქვი, რა გვეშველება, შიმშილით დავიხოცებით?! – შევეპასუხე დედას.

– უი, შენ რა გითხარი! – წამოიძახა და სიცილი აუტყდა დედას...

მას მამა და სტუმარიც აპყვენენ.

– ხაჭაპურის ნაჭერი აიღე, წადი, გაკვეთილებს ჩაუჯექი და ყველაფერს მერე ავიხსნი, – ღიმილით მითხრა მამამ და ოთახიდან გამომისტუმრა.

ზუსტად მეორე საღამოს ჩვენს ჭიშკარს სიმინდით დატვირთული სატვირთო მანქანა მოადგა. მძღოლმა ბავშვებს ჭიშკრის გაღება გვთხოვა, ტვირთი სახლის გვერდით დაცალა და ჭიშკარში გასვლისას, ეს სიმინდი ნაპო ბიგვავას საჩუქარი პირადად ზურაბ თორიასთვის, მოგვამახა და მანქანა მთელი სიჩქარით გააქროლა.

სიხარულით ცას ვენიე, ჩვენი და მადია ბებიას ოჯახიც შიმშილით დახოცვას გადაურჩებოდა-მეთქი. ბავშვები მხიარულად შევესიეთ სიმინდის გორას, გარჩეულ ტაროებს სიმინდითა და თამაშ-თამაშით ცალ მხარეს ვყრიდით, ხოლო ფურჩქის სხვა მხარეს და შიგ შლე-გებებით ვკოტრილობდით.

ამ ერიამორიაში ვიყავით, მამა ჭიშკარს რომ მოადგა. ეზოს და სახლს თვალი შეავლო, სიმინდის გორასა და ფურჩქიში ჭინკებით მოხტუნავე და მოხორბოცე ბავშვებს თვალი რომ გვკვიდა, მიტრიალდა, რამდენიმე ნაბიჯი გაიარა, შედგა, სახლს და ეზოს ყურადღებით მოაჩერდა და, როცა დარწმუნდა, რომ საკუთარი სახლის წინ იდგა, ჭიშკარი შემოალო და ეზოში შემოაბიჯა.

– ეს სიმინდი ნაპო ბიდიამ მე გამომიგზავნა! – მივახარე ჩემი ჭკუით.

– ჰაიტი! – მეხვიით დამატება ერთადერთი სიტყვა მამამ, მაგრამ ამ ერთ სიტყვაში აღშფოთება, სასონარკვეთა და იმედგაცრუება ჩაატია.

ეზო გადმოჭრა, ქარიშხალივით ისე ჩაგვიქროლა, არც სიმინდის გორისთვის და არც ფურჩქიში მონავარდე ბავშვებისთვის არ დაუხედავს და თვალს მიეფარა.

მიხილ მახარაძე

ბაბუის ფენომენი განსაკუთრებული თემაა ჩემთვის. მამა არ მახსოვს და ბაბუას ხელში გავიზარდე. ხშირად შევსწრებივარ მისგან გულისტკივილს იმის თაობაზე, რომ მეორე მსოფლიო ომში უგზოუკვლოდ დაკარგული შევიღისგან შთამომავალი არ დარჩა. მამაჩემის მისამართით კი იტყოდა – შენი სახით მან იადგარი (სპარსულია და ნიშნავს სამხსოვროს, საჩუქარს) მაინც დამიტოვაო.

იმის მიუხედავად, რომ ოთხი წლის ასაკიდან ბაბუასთან ვიზრდებოდი, რაიმე ეპიზოდს ბაბუასთან მიმართებით ადრეული (4-8 წლების) ასაკიდან ვერ ვიხსენებ. პირველი ეპიზოდი, რაც მახსოვს, 9-10 წლის ასაკს უკავშირდება. ბაბუა და მე სოფელ თხილვანამდე (სხალთის ხეობის ბოლოსწინა სოფელი) მანქანით ავდივით. ბაბუას სოფლიდან მთისთვის ორი ზურგტვირთი (თითოეული ნახევარტონი-რაზე ცოტა მეტი) ჰქონდა წამოღებული. ბაბუა გარკვეულ მანძილს გაივილიდა და ერთ ზურგტვირთთან დამტოვებდა, შემდეგ მობრუნდებოდა მეორის წამოსაღებად და ასე მიჰქონდა მას ეს ტვირთები მთა თეთრობამდე, ძირითადად აღმართზე და იშვიათად ვაკეზე. მე ეს ბებიას მონათხრობით ვიცი. თუმცა ერთი ეპიზოდი მაინც დამამახსოვრდა ამ ეპოპეიდან. როცა სოფელ ქვედა თხილვანის ბოლო აღმართს ავიღე და ვაკე გზა იწყება, იქ იყო პანტა მსხალი (ბოლო წლებშიც მინახავს). იმ პანტის ძირში რომ დამტოვა ბაბუამ ტვირთთან და მეორის წამოსაღებად რომ წავიდა, მხოლოდ ეს ეპიზოდი მახსოვს.

ბაბუას ბიოგრაფიას დანვრლივებით, რა თქმა უნდა, ვერ მოვეყვები. მხოლოდ საინტერესო მომენტებს გავიხსენებ. ბაბუა დიდად დაინტერესებული იყო სწავლით, რაც არც იყო გასაკვირი. ის ორი წელი სწავლობდა 1902 წელს ხულოში გახსნილ რუსულ სკოლაში. ქართულის გარდა, იცოდა არაბულად, ლათინურად და რუსულად წერა-კითხვა. მისგან გავგიგონია, კედელზე ეკიდა ნიკოლაი ვტაროს სურათი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბაბუაჩემის მამის – დურალ-ალა მახარაძის ინიციატივით წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1915 წლის ნოემბერში მისსავე სასტუმრო სახლში გახსნა ერთ-ერთი პირველ-დანყებითი ქართული სკოლა ზემო აჭარაში.

ბაბუა ხშირად მოდიოდა სკოლაში და ჩემს ნიშნებს ამოწმებდა. ბავშვობაში ფიზიკურად სუსტი ვიყავი და შრომით არ გამოვიჩინეოდი. ცოტას მათამამებდნენ კიდეც. როცა ჩემი ბიძაშვილები ბაბუას ეტყოდნენ, ჩემთვისაც დაევალებინა საქმე, ბაბუა ჩემს გამხდარ ხელს მაჯაში ჩაავლებდა, მაღლა ასწევდა და იტყოდა: ეს სუსტია და ამან უნდა ისწავლოსო.

ბავშვობაში ხშირად ავად-გმყოფობდი, რაც ბაბუას

ძალიან აწუხებდა. როცა ჭამაზე უარს ვამბობდი, ფულს მაძლევდა, ოღონდ მეჭამა. თუმცა მისი ამ გულკეთილობით ბოროტად არასოდეს მისარგებლია.

ერთხელ ჩემი უყურადღებობით სოფლის მდინარის პირ-მართულებას, რა სჯობდა ამ დროს – ადგილზე გაჩერება თუ რომელიმე მიმართულე-ბით გაქცევა ან გადახტომა, ძნელი გასარკვევი იყო. ბაბუამ ერთი შეპკვილა, მტაცა ხელი და რაღაც არაადამიანური ძალით რამდენიმე მე-

მართულებას, რა სჯობდა ამ დროს – ადგილზე გაჩერება თუ რომელიმე მიმართულე-ბით გაქცევა ან გადახტომა, ძნელი გასარკვევი იყო. ბაბუამ ერთი შეპკვილა, მტაცა ხელი და რაღაც არაადამიანური ძალით რამდენიმე მე-

ბაბუა

„ლიტერატურული საქართველოს“ (30. 10. 2020, N25) ფურცლებზე გავეცანი ნინო ქუთათელაძის მშვენიერ წერილს – „პაპაჩემი“. წერილმა გარკვეული ასოციაციები აღძრა ჩემში ...



რას ჩვენს ყანაში საქონელი შევიდა. ბაბუა გამიბრუნდა და ოდნავ ყური ამინა. რამდენიმე დღე უხასიათოდ იყო. ბეზასთვის ეთქვა, რატომ ხელი არ გამიხმება, ობოლ ბავშვზე ხელი როგორ აღმართეო.

ბაბუაზე მეზობლები ამბობდნენ – რკინის გული აქვსო. ამის მიზეზი ის იყო, რომ მას ბევრი ტკივილი ჰქონდა გადატანილი. ჯერ ახალგაზრდა მეუღლე გარდაიცვალა. შემდეგ, 1941 წელს, მეორე მსოფლიო ომში მისი 21 წლის შვილი დაიკარგა უგზო-უკვლოდ, 1949 წელს 24 წლის ასაკში მიძე სენით გარდაიცვალა მამაჩემი, ხოლო 1958 წელს უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა მისი უფროსი ვაჟი. ამის გარდა, ექვსი შვილი ჰყავდა გარდაცვლილი მცირე ასაკში, მათ შორის, ერთი შვიდი წლისა.

ბაბუასა და ჩემი ურთიერთობიდან განსაკუთრებით ერთი ეპიზოდი მახსენდება. ამის თაობაზე ჩანახატიც გამოგაქვეყნე სათაურით – „პირველი გაღიშება“. ვთავაზობთ ამ ჩანახატის მთავარ მომენტს.

ერთ ზამთარს, დიდთოვლობისას, ხის მასალის დასამზადებლად ბაბუას მარტოს უხდებოდა ტყეში სიარული. ერთ დღესაც უთენია გამაღვიძა და ამისხნა, რომ არავინ ჰყავს ბირდაბირი ხერხის გამწევი და უნდა გავყოლოდი.

სახლიდან გამოსულები ერთი საათის შემდეგ შევუყვებით ტყიან დაკიდულ და უფრო მაღლა მივინევდით და ვუახლოვდებოდით სამუშაო ადგილს, მით უფრო მატულობდა ცულების კაკუნის ხმები – უფრო ადრე ასულები მოჩურჩეს დასაცურებლად ამზადდებდნენ.

მოულოდნელად ზემოდან ყვირილი მოგვესმა: „თავს უშველეთ, მორი გამოგვექცა!“. მაღლა ავიხედეთ და დავინახეთ თუ როგორ ზიგზაგებით ეშვებოდა დაკიდულ ფერდობზე მორი და თანაც მკვეთრად უმატებდა სიჩქარეს. მე დავიბენი და ადგილზე გავქევადი. ამასთან, მორი ისე სწრაფად იცვლიდა მი-

ტრით გვერდზე მომსროლა, თვითონ კი ადგილზე გაქევა-და და პირისპირ დარჩა „აწყვეტილ“ მორთან. მორმა კი, თითქოსდა დააფასა ბაბუას თავგანწირვა, იმ ადგილიდან, სადაც ის იდგა, ნახევარი მეტრით ადრე „კუდი მოიქნია“, გვერდზე გაუხვია და იმ ადგილს გადაუსრიალა, მე რომ ვიდექი რამდენიმე წამის წინ. ცოტა ხანში ბაბუა გონს მოეგო, ჩემთან მოვიდა და გულში ჩამიკრა. არაჩვეულებრივი სანახავი იყო მისი გაღიშებული სახე...

მეათე კლასში ვიყავი, და როგორც ჩანს, გაცხების გამო მახველებდა. ბაბუამ ფული მომცა და რაიონში გამგზავნა ექიმთან. მისი შემფოთების მიზეზი იყო სენი, რამაც მამაჩემის სიცოცხლე შეინირა. მამა ტუბერკულოზით გარდაიცვალა და, როგორც შემდგომში ბებია მიამბო, ბაბუაც შეშინებული იყო, ეს მიძე სენი მამისგან შეილსაც ხომ არ გამოჰყავო. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

სკოლაში კარგი მოსწავლე ვიყავი, მაგრამ საგნებს შერჩევით ვსწავლობდი და ამიტომაც ყველა საგანში ფრიადოსანი არ ვიყავი. მასწავლებლებს შენიშნული ჰქონდათ, რომ ზოგადი განათლებისკენ მქონდა მიდრეკილება. როცა სკოლა დავამთავრე, ბაბუას თხოვნითა და ჩემი სურვილის წინააღმდეგ, მისაღები გამოცდები ჩავაბარე სამედიცინო ინსტიტუტში და კონკურსში მოხვედი.

მომდევნო წელს ბაბუა აღარ ჩარეულა ჩემი მომავლის არჩევაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, როცა თბილისში დამტოვეს „საპროფესოროდ მოსამზადებლად“, როგორც ძველად იტყოდნენ, ანუ სამეცნიერო საქმიანობის გასაგრძელებლად, ძირითად დროს ბიბლიოთეკებში ვატარებდი. ბაბუა ფრთხილობდა, თბილისი დიდი ქალაქია და რაიმე ხიფათს არ გადაეყაროსო. ვინმეს თუ ნახავდა თბილისში მიმავალს, დაა-

ბარებდა ბიჭი მოიკითხე და ამბავი ჩამომიტანეო.

თბილისიდან დაბრუნებული ბაბუას ამშვიდებდნენ – კარგად და წყნარად არის, სულ ბიბლიოთეკაშიაო. ერთხელაც ბაბუას გაკვირვებულს უკითხავს: ამისა და ამის შვილი მხოლოდ ჯარში იყო ორი წელი და ბიბლიოთეკაში (სოფლის ბიბლიოთეკა ჰქონდა მხედველობაში) ისიც მუშაობს, რაღა ჩემს ბაბუას დასჭირდა ხუთი წელი სწავლა და ისიც თიფლიზშიო.

1973 წლის შემოდგომაზე ბაბუა თბილისში მესტუმრა, სპეციალურად, მეტროს სანახავად. ძალიან მოეწონა მეტრო, მისი სისუფთავე და წესრიგი. განთქმულ ჩაის სახლშიც მყავდა. დიდად არ მოხიბლულა. ჭავჭავაძის გამზირზე N 22-ის ცნობილ ფოტოატელეფონში სურათიც გადავიღეთ ერთად. ეს ფოტოსურათი ცნობილმა ჟურნალისტმა გურამ გომარტელმა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა. ეს ფოტო ჩემთვის ძალიან ძვირფასია და ჩემი ოჯახის რელიკვიაა.

ბაბუა მორწმუნე მუსლიმი იყო, იტყვი, შეგნებული მორწმუნე. ყოველ დილით ერთი საათის განმავლობაში კითხულობდა ყურანს. სასულიერო პირი არ იყო, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, მიცვალებულის წესის აგებაც შეეძლო. პატივს სცემდა სხვა რელიგიებს, სხვის რწმენას. რამდენიმე ეპიზოდს გავიხსენებ სხვა რელიგიებთან მის დამოკიდებულებაზე.

1972 წელს ჩემი თანაკურსელები წავიყვანე სოფელში, ბიძაშვილის ქორწინებაში. ბიძაშვილის მეორე დღეს სტუმრებისთვის გამოსამზადებელი სუფრა გაიშალა. სუფრასთან ბაბუაც იყო. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ სტუმართაგან ერთ-ერთმა მოულოდნელად ბაბუას ჰკითხა, როგორ შეხვდებოდა იმ ფაქტს, თუ მისი შვილიშვილი მიშა (ე. ი. მე) შეიღებეს ქრისტიანულად მონათლავდა. ტანში ყრუანტელმა დამიარა. იმ დროისთვის ბაბუა კი არა, საკუთრივ მე არ ვიყავი ამისთვის მზად.

ბაბუა ცოტა ხნით ჩაფიქრდა და სტუმრის შეკითხვას ასე უპასუხა: „მე ჩემი ცხოვრებით ვიცხოვრე და მიხაი თუ შეიღებეს ქრისტიანულად მონათლავს, ჰვლებთ (ალბათ) ასე ყოფილა საჭირო“. ცოტა ხანში კი ნათქვამს დაამატა: „ჩვენ ხომ ძველად ისედაც ქრისტიანები ვიყავით!“. სტუმრები მოხიბლულნი დარჩნენ ბაბუას პასუხით და შემდეგშიც ხშირად იხსენებდნენ ამას...

რამდენიმე წლის შემდეგ ჩემს უფროს კოლეგებთან ერთად ვიყავი ჩემს სოფელში. მზიანი შემოდგომა იდგა და სუფრა ჩემი ბიძაშვილის ეზოში გაიშალა. შუა სუფრაზე ბაბუაც შემოგვიერთდა. ცოტა ხანში მისი სადღეგრძელო დაიწყო. ბაბუას, არამსმელს, ღიმონათიანი ჭიქა დაუდებდნენ, მან კი ხელის ზურგით გვერდზე განია, ჩემი ღვინიანი ჭიქა აიღო და ფეხზე წამოდგა. ადლოცა სტუმრები, მაღლობა გადაუხადა სტუმრობისა და

ჩემზე მზრუნველბუნებოდა ბოლოს მოიბოდიშა, ღვინოს არ ვსვამო და ჭიქა მაგიდაზე დადო.

ერთმა ჩვენმა ახლობელმა, ცნობილმა პიროვნებამ, ასეთი რამ მიამბო: სოფელში, გასვენებაზე, ერთი ახალგაზრდა ქადაგად არის დავარდნილი, ამტკიცებს, რომ უფლის ნებით იმქვეყნიური სასუფეველი, სამოთხის ყველა სიკეთე მხოლოდ მუსლიმებს ელოდებათ და სხვ. ახალგაზრდა არ ცხრება და თავის აბსურდულ აზრებს ხან ერთ ჯგუფთან ქადაგებს, ხან მეორესთან.

ბაბუა ყურადღებით უსმენდა ახალგაზრდას. როცა მოთმინების ფილა აევსო, შეაჩერა მოქადაგე და უთხრა: „შეხედე ამ ლამპოქვას, დღისითაც რომ ანათებს, ის ქრისტიანის გამოგონილია. აგერ, აღმართზე მანქანა რომ ამოდის ქვინვით და 50-60 კაცი მოჰყავს გასვენებაში, ისიც ქრისტიანის გამოგონილია. როგორ ფიქრობ, ამ სიკეთეების შემქმნელები ჯოჯოხეთში მოხვდებიან და შენ სამოთხეში?“

ბაბუას სიტყვა არ ჰქონია დამთარებელი, რომ ახალგაზრდა გაცლია იქაურობას და საერთოდ წასულა გასვენებიდან.

1989 წელს, საუკუნეების შემდეგ, სხალთის მონასტერს პირველად ესტუმრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. ბაბუა სოფლიდან საგანგებოდ ჩავიდა სხალთაში მასთან შეხსხვედრად. ეკლესიის ეზოში გაესაუბრა პატრიარქს და ძალიან კმაყოფილი დარჩა ამ შეხვედრით. სოფლის ცენტრში ცნობისმოყვარენი ელოდნენ. ბაბუამ დამამშობა და ადგილობრივი მუსლიმები, ყველაფერი კარგი ილაპარაკა და, თუ ეკლესია ამოქმედდება, ჩვენ არაფერი ზიანი არ გვექნებაო ...

პატრიარქთან შეხვედრიდან მალე 97 წლის ბაბუა ეკალბარდში გადავარდა და ბარძაყის მოტეხილობა მიიღო. ერთი თვის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც. მიძიმე ავადმყოფი ბაბუა ჩემი მეუღლის თანასოფელელებმა მოინახულეს, საუბარში შეაპარეს, შენი რძლის ბიძაშვილმა წვერი მოუშვა და ეკლესიაში დადისო. სტუმრები ელოდნენ, რომ ღრმად მორწმუნე მუსლიმი ბაბუა მკაცრად განაჩენს გამოუტანდა მოყვარეს, ბაბუას კი სტუმრები ასე დაუმშვიდებია: „კაცი ღმერთის სახლში მისულა და ხელი არ შეუშალოთ, იქიდან ცუდს არაფერს გააკეთებს“.

ბაბუას სიმდიდრეზე არასოდეს გაუბრბოდა თვალი. ერთხელ თბილისიდან დაბრუნებულს ბათუმში უფროსი შვილიშვილისთვის უთქვამს: „ბევრი ტკივილი და წვალება გამოვიარე, მაგრამ ბედს არ ვემდურე. ობლობაში გაგზარდეთ და არცერთს ცუდი საქმე არ გაგიკეთებიათ, პირიქით – მასახელეთ კიდეც“. ასე რომ, ბაბუასა და შვილიშვილის დამოკიდებულება განსაკუთრებული ფენომენია და ეს საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი.

ტომას სტიარნს ელიოტი

სწავრუიშობი ხუთი თითისათვის

I. სწრიკონიბი იძოვრება სწარსლო ყაყას

დაბრუნდა ციურ ფრინველთა გუნდი მწვანე მინდვრებზე რასელ სკვეარის ხეების ქვეშ კი უივუივი მათი ჩლუნგი გონების ამძაფრებს სურვილს და ძაბავს მზერას ბანჯგელიან დათვის. მხოლოდ ნუხილი, არსად ჩანს შვება, გულის ქრიალი როდის შეწყდება? როდის ჩატყდება სიძველით სკამი ან როდის შეწყვეტს დენას დრო-ჟამი?

II. სწრიკონიბი იძოვრება იორიშინოლო სტრიიონს

ჟანგისფერ ველზე იდგა ურთხმელი, ხე დაგრეხილი, ერთთავად ხმელი, მოქუფრულ ცაზე მწვანე ღრუბლებში ბუნების ძალთა ხმები უხეში შეუჩერებლად ქექდნენ, დრტვინავდნენ. პატარა ცუგა უსაფრთხოდ იყო, სქელი საბნის ქვეშ არ აკლდა სიტბო, მინდორს ხაზები გასდევდა ბზარის, ხე იდგა ხმელი, გულგამომშრალი; ცუგრიებს ბოლოს სამარე ელით, ფუმფულა კატებს სამარე ელით, სამარის მთხრელსაც დაფარავს მტვერი. აქ შეეჩერდები პატარა ცუგა, წინა თათები ავნიო უნდა და თბილად ჩაენვე მე, ძილისგუდა.

III. სწრიკონიბი იძოვრება იხვს პარეში

სინათლის ხაზი ტბაზე ცახცახებს და განთიადი თრთოლით თვალს ახელს, აისი მწვანე მოლზე იხრება, არსად ჩანს გველი, გესლით აღვსილი, ზოზინი იწყებს წყვილ-წყვილ იხვებმა; უკვე შევესნარ ნათელ ალიონს,

პური გავტეხე, ღვინოც დავლიე; დაე, შებუმბულულ მოკვდავთ სალხენად ერგოთ, რაც მოკვდავთ არჩენს ამქვეყნად, ჯობს, პური ძიძგნონ დინჯად და ნელა, ვიდრემდე სდიონ მჭლე ჭიაყელას. მე კარგად ვუნცი, დე, თქვენც იცოდეთ, რომ ჭიაყელა, ქვეშ-ქვეშ მძრომელი, ჩვენს ნაპატიებ სხეულს მოელის.

IV. სწრიკონიბი იძოვრება რალოთ ჰოჯსონ ისყაინონს

რა საამოა, როცა იცნობ ესკვიარ ჰოჯსონს! (ყველას სწადია გაცნობა მისი), მისი ხმის ტემპრიც საამოდ ისმის, მის დამჯერ ძაღლით ბასკერვილების, პატრონის ერთი სიტყვა რომ ჰყოფნის, სწრაფად რომ მისდევს, თან დასდის ოფლი, ძალუმს, გაქციოს ნაკუნ-ნაკუნად. რა საამოა, როცა იცნობ ესკვიარ ჰოჯსონს! იგი ხომ ყველა მიმტან ქალს მოსწონს (და თვლიან მეტად ღირსეულ კაცად). რომ აგემოვნებს პირის წკლაპუნით ხურტკმელის ტკბილ და კრემიან ნამცხვარს. რა საამოა, როცა იცნობ ესკვიარ ჰოჯსონს! (ყველას სწადია გაცნობა მისი), იგი 999 იადონს კვებავს თავზე ევლება ფერიების, სკვინჩების წყება, თან აღტაცების საზეიმო ხმებიც კი ისმის. რა საამოა, როცა იცნობ ესკვიარ ჰოჯსონს! (ყველას სწადია გაცნობა მისი).

V. სწრიკონიბი იძოვრებათ ყუსყუსაჩივიისა რა მიონსა მურაჩა ალი ბიჯს

არ მინდა, შევხვდე მისტერ ელიოტს! მისი ასკეტურ სახის ნაკვებით და მისი შუბლით, ესოდენ მკაცრით, თხელი ტურებით ჯიუტი კაცის. მის თავაზიან და ძუნწ საუბარს, ერთობ ძნელია, მხარი აუბათ: „კერძოდ, რას ფიქრობთ?!“ „თუ“, „მაგრამ“, „თითქოს“. არ მინდა, შევხვდე მისტერ ელიოტს! არც კუდაბზეკილ კატას მის ხელში,

არც მის ფინიას, მოჭრილი კუდით, ტანზე რომ მოსავს ბენვი უხეში, თვით მას კი ქუდის უცნაურ ჭრილით. არ მინდა, შევხვდე მისტერ ელიოტს (გინდ ღია, გინდაც მოკუმულ პირით).

ყყრავიბის სურსლოი

უებსტერს იპყრობდა სიკვდილზე ფიქრი და კანქვეშ თავის ქალას ხედავდა, ხოლო მინისქვეშ – უმკერდო ჩონჩხებს და უტურებო ღრეჭას ცხედართა. თვალთა უპეთგან, გუგების ნაცვლად, მოგვშტერებოდნენ ბოლქენი ნარგისის, იცოდა, რომ მკვდარ კიდურებს მისი ფიქრი ეკვროდა, იშრიტებოდა სიამე და განცხრომა მისი. ვფიქრობ, რომ დონიც ასეთი იყო, სხვა ძალა ვერ სცნო, გონების მეტი, ძიების, პოვნის, ყოვლის წვდომისთვის ცდის მიღმა სფეროს იყო ექსპერტი. უგრძნია ზურგის ტვინის ტკივილი, ჩონჩხს კი იპყრობდა ციებ-ციხელეა, ხორცთან კონტაქტი როგორღა შეძლოს, როცა ხურვება სახსრებს ეხლება.

კარგი რამ არის გრიშკინა, რუსულ თვალებს ფერადი ხაზით გამოჰკვეთს და უკორსეტო, თბილი ბიუსტით მოაქვს პნევმატურ ტკობის სამოთხე. ბრაზილიური იაგუარი, განვრთნილი, დასდევს ოინბაზ ანთარს, ნატიფ მიმობრით მიაგავს კატას; აპარტამენტიც გრიშკინას აქ აქვს. ბრაზილიური იაგუარი ხეთა ბინდბუნდში ბზინავს და შფოთავს, კატის მომძალო სურნელი ასდის, როგორც გრიშკინას მისაღებ ოთახს. და აბსტრაქტული იმისი ყოფა თავის ხიბლს აფენს გარშემო თითქოს, თუმცა წილად გხვდა, რომ მშრალ ნეკნებში მეტაფიზიკურს გვინახავს სიტბოს.

ინგლისურიდან თარგმნა მედაა ზაალიშვილი

1 მეტრი დედანშიც დარღვეულია. 2 ანთარი – მაიმუნის სახეობა.

რაინერ მარია რილკე

რამივსებ თვარობს

დამივსებ თვალებს, მაინც შევძლებ მე შენს დანახვას, დამიხშობ ყურებს, მაინც შევძლებ შენს გაგონებას, ფეხის გარეშეც გამომივა მე შენთან მოსვლა, პირის გარეშეც მოვახერხებ შემოვედრებას.

მომამტვრევ მკლავებს? მაინც შევძლებ შეხებას გულით, თითქოს ის იყოს ჩემი ხელები, გულს შემიჩერებ? ჩემი ტვინი დაინწყებს ფეთქვას და, თუ ჩემს ტვინში დაანთებ ხანძარს, გაირდები, ჩემს სისხლში განაგრძობ დენას.

შემოცვომა

ცვივა ფოთლები, შორიდან ცვივა, თითქოს ბალები ჭკნებოდნენ ცაში; ცვივიან დაბლა შესტით უარის. ეს მძიმე მინაც ეცემა ღამით ვარსკვლავებიდან მარტოობაში.

ყველა ვეცემით. ხელიც ეშვება. შეხედე სხვებსაც: ეცემა ყველა. და არის ერთი, ვინც ამ დაცემას ხელებით იჭერს უსაზღვროდ ნაზად.

სამყარო, რომელიც არის მოვარის

გთხოვ, დაივიწყე და ახლა მხოლოდ იმითი დავტკბეთ, ვით გამოსჭვივის ვარსკვლავი ცაზე და ვით დაჰნათის ეს მთვარე ბალებს. ყოველთვის ვგრძნობდით, ვით ემსგავსება სარკეებს ბნელი და როგორ ჩნდება უკუნში სხივი, თეთრი

ჩრდილები ელვარე ღამით. ახლა კი, მოდი, გადავაბიჯოთ სამყაროში, რომელიც არის მთვარის.

ვიღრიე შექმნილიც, იესაზნობსა ყოყლოი ყოყლას

ვიდრე შექმნიდეს, ესაუბრება უფალი ყველას, მერე კი ჩუმად ბნელს დატოვებენ ერთად. მანამ კი, სანამ დაინწყებოდეს სიცოცხლე ერთის, ეს ღრუბლიანი სიტყვები ესმის:

გაგაგ ზავნიან შენი გრძნობები სადაც, გაბედე, გაჰყვე ბოლომდე ნატვრას; მომეც მე კაბა. საგნების მიღმა დაენთე ხანძრად, მსურს, ჩრდილმა მათმა სრულად დამფაროს მარად.

ჯობს, განიცადო ნათელიც, ბნელიც. წინ ნადი: ყველა გრძნობა გახადე შენი. ნუ განმეშორები, გვედრი. ახლოა მინა, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია. მაშინვე იცნობ, იმდენად ნამდვილია. გამომინოდე ხელი!

ნიცავი, ირთხილო გაყუსრიბობილიც ყოყლოი

ნეტავი, ერთხელ გაყურებოდეს ყოველი. თვით გარდუფალიც, მოულოდნელიც დადუმდებოდეს და სიცილიც მეზობლის, ნეტავ, ხმაური, ჩემს გრძნობებს რომ მოსდევს, არ მაბრკოლებდეს და მე ვფხიზლობდე.

მაშინ შევძლებდი, ათასმაგ ფიქრში მეფიქრებოდე შენი არსის ბოლომდე. და (თუნდ ერთი ღიმილის მანძილზე) გფლობდე, რათა ვაჩუქო შენი თავი სულიერს ყოველს მადლობასავით.

სიცოცხლოვ ირომაროი

ჰოი, სიცოცხლეც იდუმალო, ქსოვილო ჩემით და ბევრი სხვა უცხო ძაფით, მსურს, განგიცადო შენ ყველა გრძნობით და გადიდებდე მარად ჩემი ხმით. გინდა, მტკიოდეს? მაშ, გამიჭერი ეს გული ორად, რომ მეტი იგრძნოს. და დამიბრმავე ცეცხლით თვალები, მჯერა, ვიზრდები, როს ვიტანჯები. გაზრდა კი მინდა ყველაფრის ფასად. გთხოვ, ამიტაცე ჩემი თმით მადლა, მერე კი გულში ჩამიკრას მინამ. ოლონდ შევიცნო მე შენი არსი,

რადგან მგონია, შენ ხარ დიადი. დე, ნუ მოგკვდები, სანამ შევიტყობ, გარდაცვალება რა არის შენთვის. არის ის წყველა სამყაროსათვის? თუ მისი მადლი? იქნებ, ის შენში არის და სიცოცხლეში? მარტო ასე ძალმიძს მე მასზე ფიქრი.

თუნდაც ყველაფერს ნუ მომიყვები, მხოლოდ მომეცი რამე ნიშანი, გთხოვ, ჩამაქსოვე ყველა საგანში, სადაც შენა ხარ, მეც იქ ვიქნები.

გერმანულიდან თარგმნა ქატიკან ნიკოლაკამ

განსხვავებული 9 აპრილისა

9 აპრილზე, მაშინდელ მოვლენებზე და მის შედეგებზე, 9 აპრილის ემოციურ სიმძიმეზე უკვე ტომებია დაწერილი რაგინდარა ჟანრში და რაგინდარა ენაზე. მაგრამ ისე ორიგინალურად, ისე სხარტად და სახიერად აღწერილი 9 აპრილი, როგორც ამას გიორგი ლობჯანიძე აკეთებს თავისი მოგონებების წიგნში „ჩემი ფანჯრებიდან“, მე არსად შემხვედრია:

„მაქვს ხაშურში იმხანად გადაღებული ორი ფოტოსურათი. ორივეზე ერთი და იგივე ხალხია აღბეჭდილი: ფატი კურტანიძე, მაყვალა ხაჩიძე, თამაზ ლაცაბიძე, ნუნუკა ხვედელიძე, დათო ნიქარიშვილი, მარიკა თუმანიშვილი და მე.

მაგრამ ორივე ეს ფოტო ერთმანეთისაგან ისე განსხვავდება, თითქოს მათზე სხვადასხვა ადამიანები ეიყოს.

საქმე ისაა, რომ ერთი სურათი 1989 წლის 2 აპრილს არის გადაღებული, მეორე კი იმავე წლის იმავე თვის 11-ში.

პირველზე ყველა ლაღები ვართ, რალაც შინაგანი სხივით განათებული, მეორე სურათზე კი გატეხილები, რალაცნაირად დაბეჩავებულნი“.

რა კარგი იქნებოდა, რომ გიორგის ეს წიგნი ფოტოებითაც დაემშვენებინა და ეს ორი სურათიც დაებეჭდა!

კიდევ ერთი 9 აპრილისა

2021 წლის 9 აპრილის დილას უინძორის სასახლეში მშვიდად მიიცივალა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე უკანასკნელი ოფიცერი, მაშინ საბერძნეთისა და დანიის პრინცი, შემდგომში კი დიდი ბრიტანეთის პრინცი-კონსორტი და ედინბურგის ჰერცოგი ფილიპ მაუნტბატენი.

ორი თვის შემდეგ, 10 ივნისს იგი 100 წლისა გახდებოდა! აქედან 74 წელიწადი ორი სამეფო ტახტის მემკვიდრე მუდღე გახლდათ ელიზაბეთ უინძორისა, 69 წელიწადი კი ის დედოფალ ელიზაბეთ II-ის მუდღე იყო.

შემორჩენილია ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ფოტო, გადაღებული კენიაში, საგანაში, 1952 წლის 5 თებერვალს. იმ ღამეს გარდაიცვლება დიდი ბრიტანეთის მეფე ჯორჯ VI და მეორე დილას იმავე საგანაში ამ სამწუხარო ამბავს პრინცივას სწორედ მისი მუდღე, ედინბურგის ჰერცოგი შეატყობინებს. თან იქვე დასძენს:

მეფე მოკვდა! გაუმარჯოს დედოფალს!

ხოლო ედინბურგის ჰერცოგის გარდაცვალების ამბავს 2021 წლის 9 აპრილს მსოფლიოს თავად დედოფალი აუწყებს, რასაც ბუკინგემის სასახლის უაღრესად ინგლისური განცხადება მოჰყვება: სამეფო ოჯახი უერთდება მსოფლიოს ხალხთა მწუხარებას.

მე კი ამ პატარა შთანაწერით ვუერთდები მსოფლიოს ხალხთა და დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახის მწუხარებას ჩემი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ფრაგმენტის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის გარდაცვალების გამო.

ბანანის რესპუბლიკისა ანუ ჩანჩუკისა

ტერმინი „ბანანის რესპუბლიკა“ პირველად ო.ჰენრიმ იხმარა 1904 გამოცემულ ნოველების კრებულში „მეფეები და კომბოსტო“, რომელსაც ზოგჯერ რომანდაც მიიჩნევენ,

▶▶ ბაბრძილა. მასაჟისი №. „სს“ 2020წ. №№ 4-6. 9-16. 19-21. 24-26,29; 2021წ. №1,2,3,4,8

ნოველის ამ კლასიკოსის ერთადერთ რომანად. კომბოსტოსი რა მოგახსენოთ და, წიგნი ბანანებით და სხვა ეგზოტიკური ხილით კი არის გაძეცილი. ბანანის რესპუბლიკად ამ წიგნში ო.ჰენრიმ მის მიერ გამოგონილი ქვეყანა ანწურია მონათლა, რომლის მთელი სახელმწიფო ხაზინა ერთ საკვოიარაღი ეტევა. არ ვიცი, არის თუ არა „მეფეები და კომბოსტო“ თარგმნილი ქართულად, მაგრამ მე რომ მეთარგმნა, ო.ჰენრისეულ ანწურიას ქართულ თარგმანში ჩანწურისა დავარქმევდი. მთელი ტექსტისა ჯერ არა და, ამ შთანაწერისთვის ის პატარა აბზაცი

კიდებულ ნებისმიერ ქვეყანაზეც გავრცელდა. სულ მეგონა, რომ ბანანის რესპუბლიკები სადღაც ძალიან შორს, სამხრეთ ამერიკაში თუ აფრიკაში იყო, არადა აღმოჩნდა, რომ ძალიან ახლოს ყოფილა, აქვე, ყურისძირში. ახლოს და აქვე და ყურისძირში კი არა, თურმე სულაც ბანანის რესპუბლიკაში ეცხოვრობ, თანაც ბანანიც არის და ბანანიც – დამპალი ბანანის რესპუბლიკაში მიცხოვრია, მე რომ ცაფირუზმელეთურმუხტოვანი მეგონა. ჩანწურია მართლა ყველაზე შესაფერისი სახელია დამპალი ბანანის რესპუბლიკისათვის.

– მერცხალი და კომბოსტოს – რალა თქმა უნდა, შირაზის შუშა.

ჰოდა შეიკრიბნენ მერცხალა ქართველი პოლიტიკოსები ქვეყნის პრეზიდენტის სასახლეში და. „ქვეყნის გადარჩენის ისტორიულ დოკუმენტს“ მოაწერეს ხელი ფასილიტატორთა თვალწინ. როგორ უნდა გადარჩეს ამათი ხელმწიფრით ჩანწურია, მხოლოდ ხელმომწერებმა იციან. ქვეყნის გადარჩენის ყველა მსურველს ყველა მონერილი და მოუნერილი ხელი მოუმართოს ღმერთმა. მე კი ხელმწიფრის პირდაპირი რეპორტაჟისას ხელმომწერთა თანმიმდევრობამ კიდევ ერთხელ

ინგლისური თუ ევროატლანტიკური ანბანის რიგით მოაწერეს

ესეც თქვენი / ჩვენი დამოუკიდებლობა! მისი აღდგენის 30-ე წლისთავეზე!

კოტეს აქვს, ყუბანეიშვილს, ჩვენზე ზედამოჭრილი ერთი ერთსიტყვიანი ლექსი-კალამბური: დამოუკიდებლობა.

ვიჰვალი ავტორებისა

არ ვიცი, რა მდგომარეობაა ამ მხრივ სხვა ქვეყნებში, მაგრამ ქართულ ენაზე მხოლოდ ორი წიგნი მეგულევა, რომელთა გარეკანს შიშველი ავტორის ფოტო ამშვენებს. და ორივე ეს შემთხვევა რალაც განგებით უშუალოდ არის ჩემთან დაკავშირებული.

1998 წელს გამოვეცი გრიგოლ რობაქიძის უცნობი ეროტიკული ნოველა, რომელიც არგენტინაში, თამარ და აკაკი ჭიშვილების არქივში აღმოჩნდა და მის გარეკანზე ამავე არქივში ნაპოვნი ფოტო დავეჭყდე – გრიგოლ რობაქიძე საცურაო კოსტუმში კუნძულ კაპრის პლაჟზე.

მეორე წიგნი მაკა მიქელაძის „სურათი“ გახლავთ, რომლის გარეკანისთვის ავტორს ჩემი ორი ფოტო შეურჩევია იმ ფოტოსესიიდან, რომელიც წლების წინ მისი თხოვნით მოვანყვეთ ნათელა გრიგალაშვილის მონაწილეობით. თუმცა ფოტოს ავტორი წიგნის გამოსასვლელ ცნობებში მითითებული არ არის.

პირველ გამოცემას რობაქიძის სანათესაოს აღშფოთება მოჰყვა, რაც მათ „ლია ნერილი“ გამოიხატა, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა. გაზეთის მომდევნო ნომერში ჩემი პასუხიც დაიბეჭდა: „უმადურ მენტორთა და სხვათათვის“.

მეორეს ამბავი თავად მაკა მიქელაძემ გაიხსენა ჟურნალ „ჩვენი საუნჯის“ 2020 წლის მე-5 ნომერში:

„სურათი“ რჩეულია... გარეკანი პატარა ნაცვლიშვილის ფოტოებით გავაფორმეთ. დიდი ხნის წინ გადაბილი, ფეხმძიმე რომ ვიყავი, მეცხრე თვეში. კატაკლიზმები ხომ შიშველია და უსუსურს გტოვებენ ყოველდღიურობასთან, მაგრამ იმედინად და მომლოდინეს“.

შეიძლება მე არ ვიცი და კიდევ არის ავტორის შიშველი ფოტოთი გარეკანდამშვენებული წიგნი. დიდად მადლობელი დავრჩები, თუ ვინმე სხვა მსგავს გამოცემასაც გაიხსენებს.

აქვე კიდევ ერთი მსგავსი შემთხვევა მაგონდება. ამ ორი ათეული წლის წინათ არაერთმა გამოცემამ გამოაქვეყნა ზაზა ბურჭულაძის საკმაოდ სკანდალური ფოტო, თუმცა, რამდენადაც ვიცი, ეს ფოტო წიგნის გარეკანზე არ დაბეჭდილა. თუ სწორად მახსოვს, ეს მისი ერთ-ერთი წიგნის სარეკლამო ფურცელი იყო.

უდროო რომანებისა

ვერ ვიტან რომანებს, რომლებშიც თითქოს ყველაფერი რიგზეა – კონფლიქტი, კოლიზია, ხასიათები, კულმინაცია, კვანძის გახსნაც, მაგრამ სადაც შეიძლება მანქანა ურმით ჩაანაცვლო, კოკა-კოლა – კოკაწყლით, ბერლინი – ახალსოფლით და ამით რომანში არაფერი შეიცვალოს.

ზოგიერთი ბიბლიოფილისა

წიგნებს მარტო შეგროვება კი არა, წაკითხვაც უნდა. ხანდახან მაინც!

▶▶ ბაბრძილა იანაბა



ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერები

კატა ნასვლიშვილი

კი შემომთარგმნა, რომელშიც ისტორიაში პირველად არის ნახსენები „ბანანის რესპუბლიკა“:

„ამ პატარა ზღვისპირა ბანანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში იყო ნახევრად დავიწყებული მუხლი, რომელიც სამხედრო ფლოტის შექმნას ითვალისწინებდა. ეს მუხლი, სხვა უფრო ბრძნულ მუხლებთან ერთად გაუნძრევლად იდო რესპუბლიკის დაარსების პირველივე დღიდან. ჩანწურიაში ფლოტი არ ყოფილა და არც სჭირდებოდათ. უნდა ითქვას, რომ სწორედ სამხედრო მინისტრმა, დონ საბასმა, მხიარულმა, სწავლულმა, მამაცმა და თავისებურმა კაცმა გადააცალა მტვერი ამ მუხლს, რათა მსოფლიოში ცოტა მეტი მხიარულება ყოფილიყო და მის მონიკა კოლეგებს გაღიმებოდათ.“

ჩანწურის პრეზიდენტი ქვეყნიდან გარბის თავისი ხაზინიანად და საყვარლიანად. მერე ის თავს იკლავს, მისი საყვარელი კი ბანანების ბარონს მიჰყვება ცოლად და ახლა მეორე პრეზიდენტი გარბის ქვეყნიდან. სწორედ ის, რომელიც დიდი მონდომებით აშენებდა ჩანწურის ფლოტს, თუმცა ფლოტი არავის არაფერში სჭირდებოდა. ბოლოს, როგორც მახსოვს, გაირკვევა, რომ არც ერთი ეს პრეზიდენტი ნამდვილი არ არის, ხოლო ნამდვილი პრეზიდენტი ნიკაში ცხოვრობს და იქიდან მართავს ქვეყანას, უფრო სწორად – იქიდან ამდევრებს წყალს ბანანის რესპუბლიკაში.

ო.ჰენრის შემდეგ ტერმინი „ბანანის რესპუბლიკა“ ჯერ მხოლოდ სოფლის მეურნეობით და ბანანებისა თუ სხვა ეგზოტიკური ხილით მოსულდგმულ სამხრეთამერიკული ქვეყნების მიმართ გამოიყენებოდა, მერე კი ჩანთხლეული ეკონომიკის მქონე, პოლიტიკურად არასტაბილურ და გარეშე ძალებზე დამო-

ჩვეულებრივი, სალი ბანანის რესპუბლიკაში ნებისმიერი ოპოზიციონერი პარლამენტში შესვლას ესწრაფის, დამპალი ბანანის რესპუბლიკაში კი ოპოზიციონერებს ეხვეწებიან, პარლამენტში შემოდითო და ისინი კიდევ, პირობას აყენებენ, თუ ამა და ამ პატიმარს არ გაათავისუფლებთ, ჩვენი ფეხი არ იქნება პარლამენტში. მსოფლიოს ნებისმიერი პატიმარი ციხიდან გამოსვლას რომ ნატრობს, ამ ჩვენს პატიმარს ლამის ეხვეწებიან, გადაიხადე გირაო და გამოდი ციხიდან, არავინ გიშლის, ხომ ხედავ, შენ გამო ეს პატიოსანი ხალხი პარლამენტში შესვლაზე უარს ამბობსო, ის კი თავის მხრივ გაიძახის, ამას როგორ მაკადრებთ, არავინ გაბედოს გირაოს გადახდა, რა გირაო, რის გირაო, უპირობოდ უნდა გამათავისუფლოთ, თორემ მე ისე ციხეს ჩემს სიცოცხლეში არ დავტოვებო. ისინი პირობას აწებებან, ეს – უპირობობას, სხვები კიდევ სახელმწიფო ხაზინას შესევიან, ხოლო ტუგრიკი პესოს მიმართ დღით-დღე უფასურდება და ჩანწურია სულ უფრო და უფრო ჩანწურდება და ბანანდება.

უფრო და უფრო გაბანანდება, აბა რა იქნება! – არჩეული ოპოზიციონერი პარლამენტში ცოცხალი თავით არ შედის, რჩეული პატიმარი ციხიდან ცოცხალი თავით არ გამოდის, გამარგინალებული პარტია თავის თავს „მთავარ ოპოზიციურ ძალას“ ეძახის, ერთ-ერთ ექს-პრეზიდენტს, მართალია, მესამე, მაგრამ ისევე „პრეზიდენტი“ ჰქვია, ლანძღვა-გინებისა და ლადობის ოსტატს – „ბრალდებული პოლიტიკოსი“, ახალგაზრდულ მოძრაობას – „ქათმები“, რაკილა ვინმე ქათამაძის მხარდაჭერები და მიმდევრები არიან, თესლს – ბერმუხა ჰქვია, კვერცხს – ლომი, ბადრიჯანს

დამარწმუნა მათი გადასარჩენი ქვეყნის ბანანისობაში: ხელმომწერები ინგლისური ანბანის რიგზე გაეწყვენ და ამითაც დაადასტურეს თავიანთი „პატივისცემა“. მშობლიური ენისადმი, რომლის დღეც დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს ხელმწიფრამდე ხუთი დღით ადრე. სამაგიეროდ, პრეზიდენტის სასახლის თარჯიმანი, წესით – ქვეყნის ყველაზე კვალიფიციური თარჯიმანი, რომელიც ჩანწურის მფარველი ანგელოზების მიმართ ხელმომწერთა მშობლიურ ენაზე ადვლენილ მადლობებს თარგმნიდა, ისეთი დახვეწილი მშობლიური აქცენტით გვეინგლისურებოდა, რომ ინგლისურის, ამერიკულის თუ ევროატლანტიკურის მცოდნეებს უკვირდათ, ნეტა რა ენაზე ლაპარაკობსო. ეტყობა, ეს უხერხულობა იმდღევანდელი ცერემონიის მთავარმა მასპინძელმაც იგრძნო და როცა თარჯიმანმა მთავარმფარველანგელოზის საკმაოდ ვრცელი სიტყვის მშობლიურ ენაზე თარგმნა დაიწყო, ხელის ელეგანტური აქნეით გააჩერა – არ არის საჭიროო. ჩანს იცოდა, რომ მისი მშობლიური მის უცხო ენებს არაფრით ჩამოუვარდებოდა. ხოლო პირდაპირ ტრანსლაციას მიშტერებული და უცხო ენების არმცოდნე ჩანწურის მოსაღლეობა, რომელსაც გულით ეწადა, გაეგო, რა თქვა ბოლოსდაბოლოს მთავარმფარველანგელოზმა, გაშტერებული დატოვა.

ნეტა როგორ არის ბანანი ინგლისურად? და დამპალი ბანანი? და როგორ არის ფასილიტატორი მშობლიურ ენაზე? ანწურია რომ ჩანწურიაა, ეს ზემოთ უკვე ითქვა. და რა ენაზე შედგენილი „ქვეყნის გადარჩენის“ ეს მართლა ისტორიული დოკუმენტი, რომელსაც მერცხალა პოლიტიკოსებმა ხელები

ლადო მინაშვილი

ფელინის ავტობიოგრაფია ქართულად

კინოხელოვნება XX საუკუნის პირმოა. იგი ტექნიკასთანაა წინააღმდეგობა, ტექნიკის პროგრესს ექვემდებარება და ამდენად, შედარებით მალე გაიარა სიყრმისა და განვითარების წლები მუხურნიდან ხმოვან კინომდე. საუკუნის შუა წლებისათვის განვითარების თვალშეუდგამ სიმბოლოებზე ავიდა. ხელოვნების ეს ძალზე სპეციფიკური დარგი იმთავითვე თავისი მხატვრული მასალის, გამომსახველობითი საშუალებების, ერთი სიტყვით, კინოენის ძიებას შეუდგა და სწორედ ამ მხრივ განვლო ძალზე საყურადღებო გზა.

ამ დიდ საქმეში განსაკუთრებული როლი იტალიური კინოსი, იტალიური კინოს სკოლისა.

როცა იტალიურ კინოზე საუბრობენ, პირველ ყოვლისა, ახსენდებათ გენიალური კინორეჟისორი ფედერიკო ფელინი, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა და არამარტო იტალიურ კინოში.

კინოხელოვნება თავის გამორჩეულ ავტონომიურ გზას ეძებდა და სწორედ ამ გზაზეა ძალზე საინტერესო ფელინი და მისი კინოშედეგები.

ფედერიკო ფელინისა და მისი ფილმების მიმართ ყველგან იყო დიდი ინტერესი და, ბუნებრივია, ჩვენთანაც. ამას ის ფაქტიც მონიშნავს, რომ 60-იან წლებში, შექმნიდან მალე, საქართველოშიც შემოაღწია ფელინის გახმაურებულმა ფილმმა „8 1/2“, მაგრამ თავდაპირველად იგი კინოთეატრებში ფართოდ არ უჩვენებიათ. მხოლოდ ინტელიგენციის მცირე ნაწილმა შეძლო მისი ნახვა. პრაქტიკულად, შეიძლება ითქვას, ამ ფილმის ხილვაც ერთგვარ დისიდენტობად აღიქმებოდა მაშინ.

ძალიან კარგად მახსოვს, უნივერსიტეტის I კორპუსში, 107-ე დიდ აუდიტორიაში მოენყო ფილმის განხილვა. აქ შეიკრიბნენ ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, პროფესორ-მასწავლებლები. მართალია, ფილმის ნახვა მაშინ ახალბედა ასპირანტმა ვერ მოვახერხე, მაგრამ განხილვას დიდი ინტერესით დავესწარი; საქმე ის იყო, რომ დისპუტს ესწრებოდა ჩემი დიდი მასწავლებელი, რჩეული ინტელიგენციის პატივისცემით გარემოცული პროფესორი გრიგოლ კიკნაძე. დაიწყო დისპუტი. ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ. რა თქმა უნდა, ჩემთვის ძალიან საყურადღებო იყო აკაკი ბაქრაძის, ნიკო ყიასაშვილის, მიხეილ კვესელავას, ნოდარ კაკაბაძისა და სხვათა მოსაზრებები. ორატორები ძირითადად ყურადღებას ამახვილებდნენ კინოფილმის შინაარსზე, მის მიზანდასახულებზე...

ბატონმა გრიგოლმა ყველას უსმინა და სადღაც ბოლოს ითხოვა სიტყვა. იგი დინჯად გაემართა კათედრისაკენ და ძალიან მოკლე სიტყვა თქვა. კარგად დამამახსოვრდა ეს სიტყვა. მისი აზრით, დღევანდელი დისპუტი თანამედროვეობის დიდ კინორეჟისორზე და მის ახალ ფილმზე ძირითადად მიზანს ასცდა. დისპუტში მონაწილენი გაიტაცა ფილმის დედააზრის, მიზანდასახულების ამოკითხვამ, რაც თავისთავად ისედაც ცხადი იყო; მით უფრო დასანანი, რომ ასე მოიქცა ამ საქმის სერიოზული სპეციალისტი (იგი, ცხადია, გულისხმობდა აკაკი ბაქრაძეს). – სინამდვილეში კი, – განაგრძო გრიგოლ კიკნაძემ. – აქ დგას პრობლემა ყოველივე ამის კინოენაზე თარგმნის შესახებ, მაშასადამე, არა იმის შესახებ, თუ რა უნდა გვითხრას რეჟისორმა, არამედ იმაზე, თუ როგორ ახერხებს ამის კინოენაზე გადატანას; რა უპირატესობა გამოარჩევს გამოხატვის ამ ფორმას.

დარბაზმა თითქოს ცივი შხაპი მიიღო...

ამის შემდეგ ბევრი არაფერი უთქვამს ვინმეს, შეკრება მალე დამთავრდა.

ამ შეხვედრიდან დაახლოებით ერთი ათეული წლის შემდეგ ფედერიკო ფელინიმ შექმნა შესანიშნავი ავტობიოგრაფიული ნიგნი „ფილმის კეთების ფეხდაფეხ“, სადაც თავად დიდი ხელოვანი ბევრს გვესაუბრება კინოხელოვნების საერთოდ და კერძოდ თავის ფილმებთან დაკავშირებულ საინტერესო საკითხებზე, ერთგვარად გზას გვიკვლავს თავისი ფილმების სწორად აღქმისაკენ. სწორედ იმაზე გვიყვება რეჟისორი, რასაც კინოსპეციფიკა გულისხმობს.

ფედერიკო ფელინი. „ფილმის კეთების ფეხდაფეხ“. იტალიურიდან თარგმნა ლელა ბერიძემ. თარგმანი ეძღვნება ფედერიკო ფელინის დაბადებიდან მე-100 წლისთავს.



ძალიან ბევრ რამეზე საუბრობს ფელინი თავის ნიგნში. რაც ერთობ მნიშვნელოვანია, პათოსი ნიგნისა არის გულწრფელობა და უშუალოება, განსაკუთრებით თავის ყრმობაზე საუბრისას, მშობლიურ რიმინიში გატარებული წლების შესახებ. ნიგნში ყველაზე დიდ თავს ავტორი უთმობს თავისი სიყრმე-სიჭაბუკის ამბების გადმოცემას. ამ თხრობას ის დიდი მიზანი განსაზღვრავს, რომ ფელინის თითქმის ყველა გამორჩეული ფილმი მისი ცხოვრების სწორედ რიმინის პერიოდის სულის ანაბეჭდებს წარმოადგენს, იქნება ეს „კაბირიას ღამეები“, „8 1/2“, „ამარკორდი“ თუ სხვა.

ფელინი გატაცებით გვესაუბრება თითქმის ყველა მისი ფილმის შექმნის ისტორიაზე, მათ ჩასახვა-განვითარებაზე, გამოხატვის საშუალებებზე, საერთოდ, კინოს ენაზე. ფელინი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან კინოს და ხელოვნების სხვა ფორმებს, მაგ; ლიტერატურას. ნიგნში თვითონ დიდი რეჟისორი გვესაუბრება იმ კინოსპეციფიკაზე, რაზეც ყურადღებას გამახვილებს მოითხოვდა და მოელოდა დიდი ლიტერატურისმცოდნე გრიგოლ კიკნაძე „81/2“ მსჯელობისას დისპუტში მონაწილეობაზე. კერძოდ და მაგალითად, ფედერიკო ფელინი საგანგებოდ საუბრობს კინოენის სპეციფიკაზე: „კინო და ლიტერატურა, ეს არის პოლემიკური ურთიერთობა პირველობაზე უაზრო დავიდან წარმოქმნილი, იმაზე კამათიდან, რომელი რომელს ექვემდებარება. თითოეული ხელოვნების ნიმუში იმ განზომილებაში ცოცხლობს, რომელშიც ჩაისახა და რომელშიც გამოიხატა, მისი გადატანა, გადათარგმნა ორიგინალური ენიდან მეორე, განსხვავებულ ენაზე მის დაშლას, უარყოფას ნიშნავს. როდესაც კინო ლიტერატურულ ტექსტს მიმართავს, შედეგი საუკეთესო შემთხვევაში ყოველთვის და მხოლოდ ილუსტრაციული ხასიათის გადაჯგუფება იქნება, რომელიც ორიგინალთან მხოლოდ უბრალოდ სტატისტიკურ თანხვედრებს ინარჩუნებს. კინო თავის სამყაროებზე გვიამბობს, თავის ამბებს გვიყვება, თავის პერსონაჟებს გვაცნობს გამოსახულებებით. მისი გამოხატვის ფორმა გამომსახველობითია, როგორც სიზმრებისა. სიზმარი ხომ გამოსახულებებით გვიხატავს, გაშინებს, ალგაფრთოვანებს, გტანჯავს, გკვებავს? კინოში სიტყვები და დიალოგი, ჩემი აზრით იმისთვის გჭირდება, რომ ინფორმაცია მიიღო. ამით შეძლო რაციონალურად მიჰყვე ამბავს და ჩვეული რეალობის კრიტიკიუმის მიხედვით დამაჯერებელი აზრი მისცე მას. მაგრამ სწორედ ის ფაქტი, რომ ეგრეთ წოდებული საერთო რეალობის შესაბამისი სურათები მეორდება კინოგამოსახულებებზე, ნაწილობრივ მაინც ართმევს მათ ირეალურობას, რაც სიზმრის გამოსახულებას, სიზმრის ვიზუალურ ენას ახასიათებს. მართლაც მუხჯ ფილმს აქვს თავისი აუხსნელი და ფანტაზიის ამბლელი სიღამაზე, რაც მას ხმოვან კინოზე უფრო ნამდვილად აქცევს სწორედ იმიტომ, რომ უფრო ახლოსაა სიზმრისეულ გამოსახულებებთან,

რომლებიც ყოველთვის იმ ყველაფერზე უფრო ცოცხალი და რეალისტურია, რასაც ვხედავთ და ვეჭვობთ (გვ. 106).

შინაგანად განცდილია რეჟისორის შემდეგი დაკვირვება: „ერთი ფილმის მეორისაგან გარჩევა მიჭირს. ჩემი აზრით, მე ყოველთვის ერთსა და იმავე ფილმს ვიღებდი; ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ იმ დროს, როცა არათუ კინოხელოვნებას, არამედ, საერთოდ, ხელოვნებას უჭირს, უჭირს პრაგმატიზმის მოძალების ეპოქაში, უჭირს მთელ მსოფლიოში და მით უმეტეს ჩვენში, სადაც ყველაფერს ეკონომიკური სიდუხჭირეც ემატება, მით უფრო კინონდუსტრიაში, ამ ძვირად ღირებულ ხელოვნების სფეროში, ქართულ ენაზე ითარგმნება გენიალური იტალიელი კინოხელოვანის ავტობიოგრაფიული ნიგნი. ფედერიკო ფელინი ქართულ ენაზე ამეტყველდა, იმ ქვეყნის ენაზე, სადაც მისი ფასი კარგად იციან და რომლის კინოს დიდი თავყვანისმცემელი თავად ფელინი ბრძანდებოდა. როგორც ქართველი კინორეჟისორი ბუბა ხოტივაძე წერს, „ფედერიკო ფელინის ეკუთვნის სიტყვები: „ქართული კინო არაჩვეულებრივი ფენომენია. ეს არის განსაკუთრებული ფილოსოფიური სინათლე, რთული, მაგრამ ბავშვურად სუფთა და შეურყენელი, მასში არის ყველაფერი, რაც მაიძულებს ვიტირო. ჩემი ატირება კი, მინდა გითხრათ, არც ისე ადვილია“.

თურმე ესეც ფელინის ნათქვამია, „მე პირადად ფილმების გადაღების უფლებას ორ ერს მივცემდი – ქართველებს და იტალიელებს, რადგან მხოლოდ მათ აქვთ კინოპოეზიის გენეტიკური შეგრძნება“. ბევრი, ძალიან ბევრი თვალსაზრისით არის ეს ნიგნი საინტერესო კინომესვეურთათვის, საერთოდ კინომოყვარულთათვის, ახალგაზრდობისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ამ ნიგნის ამეტყველებას ქართულ ენაზე ის რწმუნა კვებავს, რომ კინოხელოვნება არ უნდა დამოიხონოს საბაზრო ცდუნებას, რომ დიდი ხელოვნება მოითხოვს დიდ მსხვერპლშენივასაც, თუ არადა, ცივილიზაციის უჩვეულო წინსწრაფვა სულ უფრო ამცირებს სულიერების ხვედრით ნილს და ყველაფერი ეს კი მხოლოდ ტექნიკურ წინსვლას ადევნებულ კაცობრიობას შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს, ეგების კატასტროფის ფასიც.

ქართულ ენაზე ფელინის ნიგნის თარგმნა შეასრულა კინოზე უსაზღვროდ შეყვარებულმა, პროფესიით ფილოლოგმა (კლასიკური ფილოლოგიის განხრით) და კინორეჟისორმა, იტალიური ენის შესანიშნავად მცოდნემ ლელა ბერიძემ. ლელა ბერიძემ ბოლო ხანს თავი იმითაც დავგახსომა, რომ შემოგვთავაზა როგორც შინაარსით, ისე ფორმით ძალიან საინტერესო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „გუნდური ფრენა“, რომელიც აცოცხლებს XX ს. 60-70-იანი წლების ლიტერატურულ-კულტურულ გარემოს. ამ დროის გამორჩენილ ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, ფილიპე ბერიძის მეგობრებს და თანამებრძოლებს, მის ახლობლებს.

ფედერიკო ფელინის ნიგნის თარგმნა გარკვეულ სიძნელებებთან იმთავითვე იყო დაკავშირებული. იგი მოითხოვდა სპეციალურ ცოდნას არა მარტო კინოხელოვნებაში, არამედ იტალიურ სალიტერატურო ენასთან ერთად მისი რიმინიში გავრცელებული დიალექტის ფლობასაც.

რა თქმა უნდა, მე ვერ გამოვდგები თარგმანის ხარისხის შემფასებლად, მაგრამ ის კი დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ ნიგნი ლაღად იკითხება – ხშირად ვერც კი ვგრძნობდი, რომ თარგმანს ვკითხულობდი, ფელინი ქართულად მესაუბრებოდა. კინოს თავისებურებებში ხომ მთარგმნელი ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში. იგრძნობა, რომ ფელინის ცხოვრება, მისი ხელოვნება ქართველი მთარგმნელისათვის გაცილებით მეტია, ვიდრე სათარგმნი მასალა. აქ ვგრძნობთ ერთგვარ სულიერ სიახლოვეს.

ახლა კი, დასასრულს, ერთი სატკივარის შესახებაც, განა დასამალია, კინოხელოვნების მიმართ ჩვენი ახალგაზრდობის ინტერესების განვლება? ბუნებრივია, აქ ბევრ სხვა მიზეზთან ერთად უხეირო ტელესერიალების დახვავებაცაა კინოხელოვნებისადმი ჩვენი ახალგაზრდობის ინდიფერენტისმი ერთი დიდი მიზეზი. ხშირად მიხდება გუნება-განწყობილების შესაბამისად სტუდენტებთან ძალიან ცნობილი ფრაზების მოხმობა ქართული ფილმებიდან. როცა საპასუხო რეაქციას ვერ ვხედავ, გული მწყდება; ჩემმა სტუდენტებმა ხომ ამ ფილმების, ამ ფრაზების გემო არ იციან, რადგან მათ ნანახი არა აქვთ არა მარტო საერთოდ ფილმები, არამედ ქართული კინოშედეგებიც კი. ვცდილობ, ვაიძულო ისინი არა მარტო ქართველი კლასიკოსები იკითხონ, არამედ ქართული ფილმები ნახონ. ეგებ, მერე გაუჩნდეთ ლტოლვა იტალიური, ფრანგული, რუსული... ფილმებისაკენ. არადა, ახლა ხომ ინტერნეტი ამის კარგ შესაძლებლობას იძლევა. ასე რომ, ძალიან დიდი საქმეა ფელინის საინტერესო ნიგნის ქართულ ენაზე თარგმნა. ეგების, არა მარტო სპეციალისტებს, არამედ ფართო მკითხველსაც გაუწიოს გულმა მის ნასაკითხად და გაუჩნდეს ინტერესი XX საუკუნის ამ დიდი ხელოვნების სამყაროსადმი.

ჯონათან სვიფის „გულივერის მოგზაურობა“

1928 წელს გამოქვეყნებულ ფანტასტიკურ რომანში „ორლანდო“, ვირჯინია ვულფი საკუთარ პერსონაჟს – დროში მოგზაურ პოეტ ქალს – ცოტა ხნით მე-18 საუკუნეში შეაყოვნებს და ყველაზე ახიერებელი ჩვენების მქონე კაცს, ჯონათან სვიფტს, ჩაიხე დაუპატივებს. და ვიდრე ქალის სალონში მიწვეული ეს ფიცხი მამაკაცი კარს გაუფრთხილებლად, ყოველგვარი მორიდებისა და მობოდიშების გარეშე შეაღებს, ორლანდო ხელში „გულივერის მოგზაურობას“ აიღებს და ნაწარმოების ბოლო ნაწილიდან – ხეივანიშემბთა მხარეში მოგზაურობიდან – ერთ-ერთ ნაწყვეტს ხმამალა კითხულობს.

ამ დროს კი უამთააღმწერელი, რომელიც ორლანდოს სხეულში ჩაბუდებული ამბის მთხრობელია, ყურებს თითებით დაიცობს და სვიფტის სიმართლითა და ენამწარობით გაბეზრებული იტყვის: „შენყვიტე, შენყვიტე რკინის სიტყვების სეტყვა, თუ არ გინდა, ყველანი ცოცხლად გაგვატყავონ, შენი ჩათვლით! არაფერია იმაზე უბრალო, ვიდრე ფიცხი მამაკაცი; ისეთი უხეშია და ამ დროს ისეთი სუფთა; ისეთი სასტიკია და ამ დროს ისეთი კეთილი; ამრებით დასცინის მთელ ქვეყანას და ამ დროს ბავშვით ენას უჩლექს პატარა გოგოს, და მოკვდება, განა ამაში შეიძლება ეჭვი შეიტანოთ? საგიჟეთში?“

სვიფტს პატარა გოგონებისთვის ენის მოჩლექა რომ სჩვეოდა, ალბათ, ამიტომ გვასწავლეს სკოლაში, ჯონათანის საბავშვო მწერალია და „გულივერის მოგზაურობა“ გაკვეთილების შემდეგ საკითხავი ლიტერატურააო. იქნებ, არის კიდევ თავისი დიდაქტიკური, აღმზრდელი ფუნქციითა და ფიქციური რეალობით, თუმცა საქმე არც ისე მარტივად, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. „გულივერის მოგზაურობა“ ვაცლიებით მეტია, ვიდრე მხოლოდ სათავგადასავლო, გასართობი ამბავი ლილიპუტებსა და გოლიათებზე, ცხენებსა და იაშუებზე, მფრინავ კუნძულებსა და უკვდავ არსებებზე. სწორედ ამიტომ, რომ ორლანდოს უამთააღმწერლის მსგავსად, სვიფტის ენამწარობითა და გროტესკით გაბეზრებული გამოცდილი მკითხველი პერიოდულად ნამოიხახხვს: კარგი რა, ჯონათან, „შენყვიტე, შენყვიტე რკინის სიტყვების სეტყვა, თუ არ გინდა, ყველანი ცოცხლად გაგვატყავონ!“

მაგრამ ძვირფას ჯონათანს თავისი კანონები აქვს, ყველასგან დამოუკიდებელი და თავისუფალი. კანონები, რომელთაც ოდესღაც ინგლისის სამეფო კარიც კი დაუშინებია. ჯერ უთხოვიათ, მერე უბრძანებიათ, პრივილეგიებსაც დაპირებიათ, ოღონდ შენწერა შენყვიტე – უთქვამთ, მაგრამ ჯონათანს არჩეული გზიდან გადახვევა არ სჩვეოდა და დათმობაზე არც ამჯერად წასულა.

„გულივერის მოგზაურობა“, რომლის ვრცელი სახელწოდება გახლავთ „ლეშულ გულივერის, თავდაპირველად დასტაქრის, შემდგომში კი რამდენიმე გემის კაპიტნის მოგზაურობა არაერთ შორეულ მხარეში“ ავტორს 1726 წელს გამოუქვეყნებია, ჩვენში კი ეს ნაწარმოები რამდენჯერმე ითარგმნა და გამოიცა, თუმცა ბოლო, უახლესი თარგმანი, რომელიც ინტელექტმა ზაზა ჭილაძისა და გაა ჭუმბურიძის შესრულებით გამოაქვეყნა, რამდენიმე თვის წინ წიგნის ფესტივალზე გამოჩნდა.

ნაწარმოები, რომელიც ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში ჯერ კიდევ არ მიიჩნევა რომანად, ოთხი ნაწილისგან შედგება და თითოეული მათგანი გულივერის სხვადასხვა, შორეულ მხარეში მოგზაურობაზე მოგვითხრობს. მოგზაურობის ფაბულა რომ ისეთივე ძველია, როგორც თავად ლიტერატურა, ახალი ამბავი როდია. ის, რაც ჰომეროსმა ოდისეისით დაიწყო, საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა მწერლის ხელში გარდაიქმნა, იქნებ, ეპოქის ინტერესებსაც მოერგო, თუმცა, მაძიებლობის მთავარი თემა უცვლელად შენარჩუნდა: ოდისეისი შინ ბრუნდება იმისთვის, რომ შინიდან წავიდეს, და შინიდან მიდის, რათა უკან დაბრუნება კვლავ შეძლოს. ნასვლა-დაბრუნების ამ უწყვეტ წრებრუნებაში კი კითხვებზე პასუხების ძიების უცვლელი მოტივი იმალება.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ჩვენი გულივერიც, რომელსაც კითხვის დროს ხშირად დავცინით, ოდისევსური, მაძიებელი



გმირია. ამიტომაც, რომ მისი მოგზაურობა არ სრულდება მანამ, ვიდრე საკუთარ შეკითხვაზე პასუხს არ მიაგნებს. მთავარი კითხვა კი, რომელიც წიგნის ოთხ ნაწილს ერთ მთლიანობად კრავს, ასეთია: შესაძლებელია თუ არა იდეალური სახელმწიფოს შექმნა ადამიანის გადაგვარებული ბუნების პირობებში? კითხვა, რომელსაც გულივერი სვამს, პლატონის შემდეგ ათასგზის დასმულა და განმეორებულია. სვიფტი ახალიზებს საკუთარი ძიების უტოპიურობას და სწორედ ამიტომ, რომ იდეალურ წყობასა და მართვის სისტემას ნაწარმოების დასკვნით ნაწილში ცხვენებთან პოულობს და არა ადამიანებთან.

მაგრამ, მოდი, ფხვდაფხვ მივყვით სიუჟეტურ ხაზსა და ამბის განვითარებას. გულივერი ხელმოკლე ოჯახის შვილია, ერთი ჩვეულებრივი ინგლისელი, რომელიც გემზე დასტაქრად მოენწყობა და ვრცელ ზღვებსა და ოკეანეებში მოგზაურობას იწყებს. მოგზაურობა კი მისთვის ახალი ადგილების, სახელმწიფოების, მათი მმართველობითი სისტემების, სტრუქტურების შესწავლისა და, რაც მთავარია, ადამიანთა ბუნების შეცნობის საშუალებაა. მაგრამ, რაკილა ვახსენეთ, რომ გულივერი ოდისევსური გმირია, მოდი, ისიც ვთქვათ, რომ ბევრი ჭირიც უნახავს. მისი ხიფათიანი მოგზაურობების სერია ლილიპუტების მხარეში მოხვედრით იწყება. ეს უკანასკნელი კი, თურმე, სარკისებური ეფექტით აირეკლავს ინგლისის საზოგადოებისა და სამეფო კარის თამაშებს.

მთხრობელი თავიდანვე გვაფრთხილებს: მე ლილიპუტების თავდაპირველ, ოდინდელ მდგომარეობას აღწერ და არა იმ საგანგაშო გახრწნილებას, რამაც ამ ქვეყნის მოსახლეობა მოიცვა კაცთა ბუნების ამჟამინდელი დაკნინების გამო. გვაფრთხილებს და მაშინვე ვხვდებით, ლილიპუტების სახელმწიფოს გახრწნილების მიზეზი ადამიანთა დაცემული, გადაგვარებული ბუნება უნდა იყოს. პატივმოყვარეობა, სიხარბე, გაუმაძღრობა, ღალატი, მზაკრობა, ადამიანის გულის წყვიდადი, რაზეც მოგვიანებით ჯოზეფ კონრადი შესანიშნავ ნაწარმოებს შექმნის, ლილიპუტების ქვეყანაში სამოქალაქო ომის, პარტიული დაპირისპირების, შეთქმულების, სასამართლო სისტემის გარყვნილებისა და სხვა არაერთი უბედურების წყარო გამხდარა. ადამიანი დაეცაო, მუდმივად, შეფარულად იმეორებს სვიფტი, მაგრამ, რაკილა დაცემის შემდეგ ლილიპუტებს არც გონი შერჩათ, არც გონიერი მმართველი და რელიგიამაც არ გაამართლა (ამ მხარეში აგებული ერთადერთი ტაძარიც კი უფუნქციო და ჩამოშლილია), ადამიანებმა საკუთარ ამპარტავენებასა და პატივმოყვარეობას გასაქანი მისცეს. მეფემ ბლექფუსკუსთან ომი, კვრცხის გატეხასთან დაკავშირებული ცვლილებების გამო წამოიწყო; ორი პარტია, ტორებისა და ვიგების პარტიულ სისტემას რომ იმეორებენ, ერთმანეთს მაღალი და

დაბალი ქუსლების გამო დაუპირისპირდა; უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზე, ინგლისის მსგავსად, მოხელეები ჯოხზე ხტომის შესაბამისად ინიშნებიან; ადამიანები, შურისა და პატივმოყვარეობის ნიადაგზე, მზაკერულ გეგმებს აწყობენ. უდანაშაულო გულივერის წინააღმდეგ ამირბარისა და ხაზინადარის გაერთიანება ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. და, მიუხედავად იმისა, რომ ლილიპუტების ქვეყანა იმ სამეფოს გროტესკული ასახვაა, რომელსაც გულივერი წარმოადგენს, მაინც ნათელია, რომ ჩვენი დასტაქარი ზნეობით ლილიპუტებზე გაცილებით მაღლა დგას. ამიტომ, მოდი, მეტაფორულად შევხედოთ ამბავს და პასუხი გულივერისა და ლილიპუტების ფიზიკურ ზომებში ვიპოვოთ. რაც უფრო გადაგვარებულია ადამიანის ბუნება, მით უფრო მდაბალია იგი და პირიქით. ამიტომაც, რომ ლილიპუტების ფონზე გულივერი უზომოდ დიდი ფიგურა გვეჩვენება.

ზომები უცვლელია, იცვლება მხოლოდ გარემო და შესადაარბელი ობიექტები. და გულივერი, რომელიც ლილიპუტების მხარეში გოლიათია, გოლიათებთან უეცრად საოცრად პატარავდება. და, თუ ჩვენს მეტაფორულ ალქმას ვაყვებოთ, მიზეზი ისევე ადამიანთა გადაგვარებულ ბუნებასა და მისი გამოხატვის ფორმებშია.

ლილიპუტების ქვეყნიდან გამოქცეული გულივერი რამდენიმე თვიანი შესვენების შემდეგ ახალ მოგზაურობას იწყებს და ამჯერად გოლიათების მხარეში, ბრობდინგში, მოხვდება. თავიდანვე ნათელია, რომ გოლიათები თავიანთი ბუნებით არაფრით განსხვავდებიან ლილიპუტებისგან და ამის არგუმენტად გულივერის პირველი პატრონი, ხარბი ფერმერი ან თუნდაც სამეფო კარის გაიძვერა, პატივმოყვარე ქონდრისკაციც გამოდგებიან; ისიც ნათელია, რომ გოლიათებსაც ჰქონიათ ოდესღაც შინაომები და პარტიული დაპირისპირებები, თუმცა გულივერის თხრობის მომენტისთვის მრავალწლიანი მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის მიუღწევიან; მაშ, მოდი, დავსვათ ყველაზე ლოგიკური კითხვა: თუ ადამიანთა ბუნება უცვლელია ყველგან და ყოველთვის, როგორ მოხდა, რომ გოლიათების სამეფოში მშვიდობა და კეთილდღეობა გამეფდა?

პასუხი, რომელიც მეფისა და გულივერის დიალოგიდან ისმის, ცალსახა და ნათელია: „მათ პოლიტიკა ჯერ კიდევ არ უქცევიათ მეცნიერებად“, – ამბობს გულივერი და გოლიათების მმართველობის სისტემას, რომელიც ტიპური ინგლისისთვის სრულიად უჩვეულო საფუძვლებს: საღ აზრს, გონიერებას, სამართლიანობას, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სწრაფ გამოძიებას ემყარება, ინგლისის მაღალი პერსპექტივიდან დაჰყურებს და თითქოს მასხრად იგდებს. მაგრამ მიზეზი, რის გამოც პოლიტიკა მეცნიერებად ჯერ კიდევ ვერ იქცა, გამჭრიახი, გონიერი მმართველია,

– გვეუბნება გულივერი. – რომელიც დანყვეტილებს არა პირადი ინტერესების შესაბამისად, არამედ გონისა და ღირსების საფუძველზე იღებს. ამიტომაც, რომ ინგლისურ საზოგადოებასა და მმართველობით სისტემასთან შედარებით ბრობდინგენი გაცილებით მაღალ საფეხურზე დგას, რაც მეტაფორულად გულივერის, როგორც ტიპური ინგლისელის დაპატარავებით მუდგანდება. მორალი უცვლელი რჩება: რაც უფრო გარყვნილია ერის ზნეობა, მით უფრო მდაბალია მისი წარმომადგენელი.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ბრობდინგენი, ლილიპუტების სამეფოსთან შედარებით, უფრო ახლოს დგას იდეალური სახელმწიფოს მოდელთან, ის ჯერ კიდევ არ არის ის „შორეული მხარე“, სადაც ადამიანები თავისუფალ, თანასწორ პირობებში ცხოვრებას შეძლებენ. ბრობდინგენში ბედნიერად ვიცხოვრებდით, ამბობს გულივერი, მაგრამ მაინც უკან, ინგლისში ბრუნდება. რა გასაკვირია? გოლიათების ფონზე, ჩვენი მთხრობელი საოცრად პატარა და სუსტი კაცია, სუსტი კიდევ, ბუნების კანონების თანახმად, ყოველთვის ძლიერის მსხვერპლია.

იდეალური ქვეყნები ვერ იქნება ვერც ნაწარმოების მესამე ნაწილში აღწერილ ლაპუტაში და გლუბდუბრიში, სადაც ადამიანები საკაცობრიო სენს – მომავალზე ფიქრსა და სიკვდილის მუდმივ შიშს – ისე შეუპყრია, რომ ვეღარც მშვიდად დაუძინიათ და ვერც ჩვეულებრივი სიამოვნებისთვის ჩაუტანებიათ გემო.

ადამიანს ბედნიერების მიღწევაში ხელს საკუთარი გადაგვარებული ბუნება უშლის, – ამგვარია სვიფტის მოსაზრება. ვერ შევედგებით. წიგნის მესამე ნაწილში, არგუმენტად გლუბდუბრიის მხარე მოჰყავს, სადაც ოდესღაც უკვდავებსაც უცხოვრიათ. არისტოკრატის დასმულ შეკითხვას, რისთვის გამოიყენებდა უკვდავებს, გულივერი მთელი კაცობრიობის ნაცვლად პასუხობს: სიმდიდრის მოსახვეჭად. და, თუ მთელ კაცობრიობას, სიმდიდრისა და პატივისთვის ბრძოლა ასაზრდოებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველანი ერთმანეთის წინააღმდეგ იმ ომში ვებმებით, რომელიც ოდესღაც კვერცხის გატეხასთან დაკავშირებული ცვლილებების გამო დაწყებულია. ადამიანთა უკვდავება უკვდავ ტანჯვას ნიშნავს, – გვიხსნის არისტოკრატი. – სიბილას განანამები სიცოცხლის გავლას.

გულივერმა სამი შორეული მხარე მოიარა და, ადამიანთა დაცემული და გადაგვარებული ბუნების გარდა, ვერსად ვერაფერი ნახა. ადამიანი სიხარბის, ფარისევლობის, დაპირისპირების, გაუტანლობის, სისასტიკის, სიშლეგის, სიგიჟის, სიძულვილის, შურის, სულმდაბლობისა და ქედმაღლობის გროვავაო, გვეუბნება მთხრობელი. მაშ, რა ქნას ადამიანთა დაკარგული სამოთხის მაძიებელმა მოგზაურმა?

ორლანდოს უამთააღმწერელი ფიქრობდა, სვიფტი სასტიკი კაციოა და მართალიც იყო. გულივერის დასკვნა ნაწარმოების მეოთხე ნაწილში შემზარავია: არა, თქვენ, ადამიანები, იაშუსავით ბანჯგვლიანი, ზნეობრივად დაცემული არსებები, თქვენივე ნაბილწული ბუნების გამო, ბედნიერები ვერასდროს იქნებითო. ბედნიერი, უტოპიური სამეფოს შექმნა, სადაც ყველა თანასწორი, ყველა კმაყოფილი და ყველა თავისუფალია, მხოლოდ ცხენებს, ხეივანიშემბს შეუძლიათ, რადგან, ადამიანებისგან განსხვავებით, ორი მთავარი ღირსება ასაზრდოებთ: მეგობრობა და კეთილგანწყობაო. ჰოდა, ადამიანებო, გაცხოველდით, სანამ დროაო!

რა გროტესკულია, დაკარგული სამოთხე ცხენებთან იპოვო და არა ადამიანებთან, მხოლოდ იმით, რომ ამ უკანასკნელთ სიკეთე, მეგობრობა და კეთილგანწყობა ბუნებით არ მოსდგამთ. აკი, ამბობდა კიდევ სვიფტი „ქასრის ზღაპარში“, ყველა სიქველე, რაც კაცობრიობას ახასიათებს, თითზე ჩამოსათვლელია, სისულელე და ბზიერება კი – აურაცხელი და ეს გროვა კიდევ უფრო იზრდებაო.

ხეივანიშემბთა იდილია ორ მთავარ ღირსებას: მეგობრობასა და კეთილგანწყობას ეყრდნობოდა.

და, რას ეყრდნობა ადამიანებით დასახლებული შორეული ქვეყნები?

კარგი რა, ჯონათან, „შენყვიტე რკინის სიტყვების სეტყვა!“

ქეთი გახოკია



კლარა გელაშვილი

დღეს ჩემს სარკმელზე წვიმის ნაცვლად ცრემლმა იარა, ლექსი გამიჩნდა - ტკივილმა რომ იმშობიარა...

სწათი

სკას გავეყარე, ახლა ვარ ხვითო, მოვპარე სითბო ფუტკარს ფრთებიდან, ცეცხლში დავიწვი, ვიცვალე სახე, რომ დავდგომოდი უფალს შეგირდად...

მუზის ოქმელოთან

გარეთ თავსხმა წვიმა... მე არაფერს მერჩის! ყიფიანის სახლ-კარში ვზივარ მარტო, ჩემთვის...

გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ რედაქტორმა მურთაზ კანკაძემ დოდო შალამბერიძის ახალგაზრდა მწიგნობარის მისახსოვრად და არცთუ შეფარული „დირექტივაც“ ზედმოაყოლა - კარგი იქნება, შთაბეჭდილებას მკითხველს თუ გაუზიარებო.

ბატონ მურთაზს უარს როგორ ვეცყოდი, თანაც წიგნის დასახელებამ დამაინტერესა და კითხვას შევუდექი, თუმცა, მალევე მივხვდი, რომ „საქმე ვქმენ საჭოჭმანები“.

წიგნი, ძირითადად, ავტობიოგრაფიულია, რაც რეცენზენტისაგან გარკვეულწინდახედულებას მოითხოვს, რათა ემოციური გრძნობების რევიზირებით ავტორის პირადი სივრცე არ დაარღვიოს და, ნებისმიერ შემთხვევაში, გული არ ატკინოს.

„მისი უდიდებულესობა შური“ - ასე დაუსათაურებია ქალბატონი დოდოს წიგნი.

რაც უნდა უცნაურად მოეჩვენოს ვინმეს, ავტორი არა სხვას, არამედ საკუთარ თავს უყენებს ბრალს - ჩემდა უნებურად, შურმა დამრია ხელი, სხვისი ბედნიერებისა მშურდაო და მეტი დამაჯერებლობისათვის რამდენიმე მაგალითიც მოჰყავს.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „შური არს მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა“.

სარეცენზიო წიგნის ავტორი ქვეცნობიერად გრძნობს, საკმაოდ კატეგორიული რომ არის თვითშეფასებაში და ამიტომ...

ყველაფერი გვესმის, ყველაფერს ვხედავთ

ტომაც მიმართავს მკითხველს: „გთხოვთ, კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ, თუ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი რეალობისაგან ძალიან შორს მოგეჩვენება“.

წიგნის პირველი ნაწილის კითხვისას, რომელიც ბავშვობის მეგობრისადმი მიწერილი 19 წერილისაგან შედგება, გონებაში რამდენიმე ანალოგი ამომიტივტივდა: „ვაჟა-ფშაველას „წერილები მეგობართან“, სვეტილანა ალილუევას „ოცი წერილი მეგობარს“ და მაქს ფონ დერ გრიუნის „ორი წერილი პოსპიძელს“, რაც იძლევა შესაძლებლობას, დოდო შალამბერიძე ეპისტოლარული ჟანრის მიმდევრად გამოვაცხადოთ. იგი შთაბეჭდილებად მოგვითხრობს საზოგადოებისათვის კარგად ცნობილ ადამიანებთან შეხვედრებისა და საუბრების თაობაზე. ავტორი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ჩვენი თანაქალაქელი შემოქმედის, ოტია იოსელიანის მიმართ. დაუფარავი კმაყოფილებით გადმოგვცემს მწერლის სახლ-მუზეუმში სტუმრობით მიღებულ შთაბეჭდილებებს. ჩემთვის ორმაგად სასიამოვნო იყო, ამ კოლორიტული პიროვნების ცხოვრებისეული სტილის დახასიათებისას თქვენი მონა-მორჩილის მიერ გაკეთებული შეფასება - ასაკტური სულისკვეთების შემოქმედი - რომ აქვს დამონმებული.

ავტორის მახვილგონიერებას კარგად წარმოაჩენს ცხოვრებისეული კურორტები და თამამი იუმორით შეზავებული სახალისო ამბები: „წყალტუბოელი „რასპუტინი“, „მართალი ანეკდოტი - ადამი“, „ფოთოლა“, „ფაცინო“...

ეკლესიური სწავლებით, ღმერთი, უპირატესად, იმას მოუვლენს განსაცდელს, ვინც ამ გზით განამტკიცოს იგი. ამ თვალსაზრისით თუ მივუდგებით, დოდო შალამბერიძე უფლის რჩეულია და სწორედ მისი შემწეობით გამოდის ისეთი ურთულესი მდგომარეობიდან, სხვა შემთხვევაში შეუძლებლად რომ მოგეჩვენებოდა. ზერელე საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, მოვიხმოთ ერთი ეპიზოდი სარეცენზიო წიგნიდან: „... აბა! შეწყვიტეთ ლაპარაკი, უფლის წყალობით, ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდა. კიდევ ერთხელ გავიმარჯვეთ სიკვდილზე... მას ყველაფერი ესმის“.

ჩვენც ყველაფერი გვესმის და ყველაფერს ვხედავთ, ქალბატონი დოდო! რასაც თქვენ გაუძელით და რაც თქვენ გადაიტანეთ, სამოქალაქო...



ლაქო გმირობის ტოლფასია, მაგრამ არანაკლებ დასაფასებელია ის გამბედაობა, პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების მკითხველის სამსჯავროზე გამოტანა რომ შეგაძლებინათ. დათა თუთაშვიას მიერ, თიკო ორბელიანისათვის ნათქვამი კომპლიმენტი რომ მოვიშველიოთ, „მამაკაცი ვერ გააკეთებს ამას, ასეთის გაკეთებას ქალი უნდა, თქვენისთანა ქალი“.

P.S. კორექტურულ-პუნქტუაციური ხარვეზებისა და ორთოგრაფიული შეცდომების მიუხედავად, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა არაპროფესიონალი ლიტერატორების შემოქმედებაში, ნაშრომი კარგი შენაძენია მკითხველი საზოგადოებისათვის და იმედი ვიქონიოთ, ავტორი კვლავ განაგრძობს ამ მიმართულებით მუშაობას.

თიიგურაზ ჯანელიძე

მართლაც, „სადა ხარ, ჩემო სულიკო?“

როგორ შეიძლება აიხსნას „დაკარგული საფლავის“ ძიება? ლიტერატურის ერთ-ერთ სასკოლო სახელმძღვანელოში ამ სახით დასმულმა შეკითხვამ აღძრა ინტერესი, კიდევ ერთხელ ღრმად და დაკვირვებით ჩავხეხედა საკითხის არსში.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში აკაკის „სულიკოს“ არაერთგვაროვანი გააზრება არსებობს. არის სხვადასხვა თვალსაზრისი კონკრეტულად სულიკოს სახე-სახტთან დაკავშირებით. ამ მხატვრული ხატის სახისმეტყველება პირდაპირ კავშირშია ლექსის კონცეფციასთან. ვინ ან რა იგულისხმება სულიკომ? სად ან რატომ არის დაკარგული მისი საფლავი? ერთი ინტერპრეტაციით, სულიკო სატრფო-მშვენიერებაა, (გ. რობაქიძე), მეორე აზრით, ის არის სამშობლო (გ. ბარნოვი), სხვა თვალსაზრისით - ეს არის დაკარგული ღმერთის ძიება (ა. ბაქრაძე). თითოეული მოსაზრება თავისებურად საფუძვლიანი და მნიშვნელოვანია. მხატვრული სახის არსიც ხომ მის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას გულისხმობს და ხელაღებით არავის ძალუძს რომელიმე მათგანის უფლებებულობა.

ლექსის ლირიკული სუბიექტის მთავარი მიზანი დაკარგული საფლავის ძიებაა. პოეტისთვის საყვარლის არსება სულიკო ტკბილი და ძვირფასია, ამიტომაც ის კრძალვით და სიყვარულით ეძებს სულიკოს საფლავს ხან ვარდში, ხან ბულბულსა და ვარსკვლავში. აკაკი ბაქრაძის მოსაზრებით, აქ დაკარგულ ღმერთს ეძიებს პოეტი, აღმავალი გრა-

დაციაც ამას მიუთითებს - ვარდი, ბულბული, ვარსკვლავი. შემდეგ იგივე ხატება ეშვება ზვიგინი ქვევით - ვარსკვლავი, ბულბული, ვარდი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მიზნიდან ცისკენ საღვთო ღოცვად აღვლენილი ენერგია ისევ მინას უბრუნდება - ხდება ღვთაებრივი და ადამიანური სიყვარულის შერწყმა და განფენა ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ სივრცეში, იკვეთება ჯვარსახოვნების პრინციპით განხორციელებული მხატვრული ხატი. ამ შემთხვევაში შორეულ ანალოგიად შეიძლება გაგვახსენდეს ავთანდილის გალობა: „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“.

ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ აკაკი მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ ტრადიციას აგრძელებს და სატრფო-საყვარელში სამშობლოს მოიხივებს. ერთ ლექსში („ჭაღარა“), აკაკის წარმოდგენით, სამშობლო ნესტან-ვით ტყვედპყრობილია, ის საპატიმროშია და გმირებს ელის გამოსახსენლად. მსგავს გააზრებას ვხვდებით ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსშიც „ვისაც გსურთ“. „მას ვჭყვრეტ პატიმრად, ვის შპონებს გული“.

ფიქრობთ, პოეტის სულიკო სწორედ სამშობლოა - იავარქმნილი, განადგურებული. ის მტერმა მოაშო და მგლოვიარე მგოსანი მის საფლავს დაეძებს, თუმცა ვერსად პოულობს და ვერც იპოვის, რადგან ეს რეალური საფლავი არ არსებობს. სულიკოს სიმბოლური საფლავი, უფრო სწორად, ბინა-თავშესაფარი, იმ სამად დაშლილ ერთარსება ერთშია, რომელიც

დღემდე თავისი კალთის ქვეშ იფარავს პოეტის სამშობლოს. სულიკოს ბინა უფლის ნიაღზა - ქრისტიანულ სამებაში, რომელიც ალგორითულად ვარდის, ბულბულის და ვარსკვლავის სამსახოვნებაში განსხვავდება. აკაკიმ მიაგნო თავისი სულიკო-სატრფოს თავშესაფარს, ანუ საფლავს, მაგრამ ეს საფლავი არა სამარის, არამედ სავანის მნიშვნელობით არის გასააზრებელი. ამიტომაც ჩასწარმოვლებს ლირიკულ სუბიექტს ნიავი: „ეგ არის, რასაც ეძებდი, მორჩი და მოისვენეო“.

ამიტომაც არის მადიბელი პოეტის ლექსის ფინალური სტრიქონები გაუღწეილი პოვნის სისხარულითა და აღტაცებით: „და რასაც ვგრძნობ მე იმ დროს, ვერ გამოითქვამს ენითა“.

ეს გრძნობა უფლის სიყვარულია, რომელიც ენით გამოუთქმელია, ის „სულიკოთა ხოლო საცნაურია“. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლექსის პირველი სტროფის ბოლო ტაქტში დასმულ კითხვას „სადა ხარ, ჩემო სულიკო?“ პასუხს სცემს ფინალური სტროფის ბოლო ტაქტი: „სამაგან გაქვს ბინა, სულიკო“. აკაკი თავადვე გვამცნობს სულიკოს ადგილსამყოფელს, მისი ბინა ერთარსება ერთის-უფლის-ნიაღზა - ეს კი მარადიულ მყოფობას მიაწინშნებს.

პოეტის სამშობლო - სულიკო უფალში დავანებულ-დაბინადრებული და მარადისობასთან წილნაყარია. აკაკის სულიერი გაცისკროვნებაც სწორედ ამ მიგნებით არის გამოწვეული.

ლალი ურდულაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია თანაუგრძნობს გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორს, კახმეგ კუდავას ძმის თინათინ კუდავას გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია მწუხარებით იუნწყება, რომ გარდაიცვალა პოეტი ზურაბ რთველიაშვილი და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ელისაბედ მებრძევილი
ფინანსური მენეჯერი ქატიკანე დამბარაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: გელა გველესიანი, მზია ბარბაქაძე
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური ვოლდემარ ვანსკი

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი: საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862

ზანდუკელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: liitsaqartvelo@yahoo.com

დაბეჭდილია შპს „საარი“ სტამბაში მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57

გაგონდის პარასკეობით

